ახალი განათლება

6 - 12 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№29 (743) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

დღეს წარმატებული მასწავლებელი, საკლასო ოთახის გარდა, არსად ჩანს

პროფესია პედაგოგი

ზაქარია ქიტიაშვილი:

„თუ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟს აამაღლებ, მაშინ მაღალძულიანი სტუდენტი მოვა სასწავლებლად და არა ისეთი, ყველაფერი რომ მოილია და სხვა აღარაფერი დარჩა.“

„შეწუხებული სახით გაკვეთილზე არ უნდა შეხვიდე, ძალიან მნიშვნელოვანია, გავშვს ტვირთადაცეული მასწავლებლობა არ დაანახო.“

„მასწავლებლობა გამოსაცდელი პროფესია არაა – გამოგივა თუ არა, ამაზე ფიქრი პროფესიაში შესვლამდეა საჭირო, რადგან სკოლა არ არის საექსპერიმენტო ლაბორატორია. კარგად უნდა გქონდეს აზომილ-აწონილი შეძლებ თუ არა მასწავლებლობას.“

გვერდი 6

ინტერვიუ მინისტრთან

სკოლამ გავშვს ცნობისმოყვარეობა უნდა გაულვიძოს

ალექსანდრე ჯეჯელავა:

„სკოლა, სადაც მასწავლებელი ქადაგებს და ჩვენ თავს ვუქნევთ, მერხზე ხელებდაწყობილი, წავიდა და აღარ დაბრუნდება.“

„შეცდომაა სწორედ ის, რომ განვითარება დაიწყო მაშინ, როცა მასწავლებელი ექვსჯერ ვერ ჩააბარებს. უნდა დაიწყო განვითარებით და არა გამოცდებით. ჩვენ ვამბობთ, რომ ძალიან კარგი მასწავლებლები გვყავს, მათ შეუძლიათ ნებისმიერი ბარიერის გადალახვა და პირადად მე გაძლევთ პირობას, რომ ეს ბარიერი გადალახული იქნება.“

გვერდი 2

პროფესიული განათლება

პროფესიული სასწავლებელი პირდაპირი გზაა დასაქმებისკენ

გვერდი 3

ერთიანი ეროვნული გამოცდები

ზოგადი უნარები სამყაროსთან ურთიერთობაშიც გვეხმარება

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

სასწავლო ხარაჩოს აგება მათემატიკაში, მისი წესები

გვერდი 8

CMYK

ინტერვიუ მინისტრთან

სკოლამ ბავშვს ცნობისმოყვარეობა უნდა გაულვიძოს

განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებსა და დაგეგმილ სიახლეებზე საუბრობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა

– თუკი პედაგოგებს, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდებს და დადასტურებულად გვეცოდინება, რომ მათ კვალიფიკაციური უნარ-ჩვევების ზღვარი ვერ გადალახეს, სკოლის დატოვების საფრთხე არ ემუქრებათ, როგორი იქნება მშობლების რეაქცია, როდესაც გაიგებენ, რომ მასწავლებელმა ვერ ჩააბარა გამოცდა და მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს საათანადო კვალიფიკაცია, მაინც ასწავლის?

– ვისაც თუნდაც ერთი წიგნი წაუკითხავს შეფასებაზე, ყველამ იცის, რომ ნებისმიერი გამოცდა, რომელიც აპლიკანტთა 80 პროცენტს ჭრის, არ ვარგა. ეს ძალიან მარტივია. ყველა შეფასების სისტემის პირველ გვერდზე წერია, რომ თანამშრომლების შეფასებაა ეს თუ კომპანიების, მასწავლებლების თუ ექიმების, ნებისმიერი შეფასება, რომლითაც აღმოჩნდება, მაგალითად, რომ ჟურნალისტების 80 პროცენტი არ ვარგა, არ არის სანდო. შესაბამისად ჩვენ ვამბობთ არა იმას, რომ მასწავლებელი არ უნდა შეფასდეს, რა თქმა უნდა, შეფასება გაგრძელდება, მაგრამ თვითონ გადალახვის პრინციპი და ბარიერი უნდა გადაიხედოს. თან ძალიან მნიშვნელოვანია, რას ვაპირებთ შემდეგ, ამაზე არასდროს საუბრობენ. ვთქვათ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ პედაგოგების 80-მა პროცენტმა ვერ გადალახა ის ჩვენი მითიური ბარიერი, რომელიც, ვამტკიცებ, რომ არ არის საჭირო, მერე ვუშვებთ ამ 80 პროცენტს?

ბევრმა პედაგოგმა უკვე ჩააბარა, მაგრამ ეს პროცენტი პედაგოგთა საერთო რაოდენობიდან კი არ იანგარიშება, არამედ დარჩენილთა რაოდენობიდან. თანდათან სულ უფრო ცუდი პროცენტული მაჩვენებელი გვექნება. ბოლოს, ორნი რომ დარჩებიან და ვერც ერთი რომ ვერ ჩააბარებს, 100-პროცენტიანი ჩაჭრა გვექნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ორმა სამსახური მხოლოდ მას შემდეგ უნდა დატოვოს, როცა დარწმუნებული ვიქნებით, რომ შევეცადეთ მათთვის გვესწავლებინა. თუ ამ კომპონენტს ამოვაცლით, ეს ჩვეულებრივი სადამსჯელო სისტემა იქნება.

– ექვსჯერ თუ ვერ ჩააბარებს მასწავლებელი, ამ შემთხვევაშიც?

– თუ ჩვენ ვაპირებთ, რომ 40₾000 მასწავლებელი ჩავანაცვლოთ, ეს ტექნიკურად შეუძლებელია, იმიტომ რომ, არ გვყავს 40₾000 მასწავლებელი იმ სოფლებში, სადაც ჩასანაცვლებელია. თუ არ გვყავს ახალი, ძველი უნდა განვავითაროთ, ეს წერია ნებისმიერი მენეჯერული სისტემის პირველ გვერდზე.

შეცდომაა სწორედ ის, რომ განვითარება დაიწყო მაშინ, როცა მასწავლებელი ექვსჯერ ვერ ჩააბარებს. უნდა დაიწყო განვითარებით და არა გამოცდებით. ჩვენ ვამბობთ, რომ ძალიან კარგი მასწავლებლები გვყავს, მათ შეუძლიათ ნებისმიერი ბარიერის გადალახვა და პირადად მე გაძლევთ პირობას, რომ ეს ბარიერი გადალახული იქნება. წარმოიდგინეთ თქვენი საკუთარი რეაქცია, როდესაც გეუბნებიან, რომ ეს რაღაც უნდა ჩააბარო. შენ გებადება კითხვა – მომამზადებთ? გეუბნებიან – არა, მომზადების საშუალება, სამწუხაროდ, არ გვაქვს, მაგრამ ახლა ჩააბარე, ჩაგჭრით და წინ დაგიდებთ შედეგს, რომ ჩაჭრილი ხარ.

– ამბობდნენ, რომ ტესტები არ იყო კარგი

– ვერ ვიტყვი, რომ ტესტები იყო რთული, არ ვარგოდა მთლიანი სისტემა, რომელმაც ჯერ გამოცდა დაგეგმა, მერე – სწავლება. ეს სისტემა შესაცვლელია.

– პრიორიტეტული გამოწვევები, რომლებიც დღეს განათლების სისტემაშია

– მთავარ გამოწვევაზე უკვე ვისაუბრეთ. ეს გამოწვევა ხომ მნიშვნელოვანია, მაგრამ ამაზე უარესი გამოწვევაც გვაქვს – სკოლა რასაც და როგორც ასწავლის, ის არ უნდათ და არ სჭირდებათ ბავშვებს, ანუ მოთხოვნა-მიწოდება ერთმანეთსაა აცდენილი. ბავშვებს ეუბნებიან, მაგალითად, რომ ახლა გეტყვით სამხრეთ ურალში რა სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება. ამაზე მუშაობს სწორედ საძიებო სისტემა Google, რომ ბუნებრივი შეკითხვები გაიგონოს, მათ შორის ლაპარაკი – როგორც მე გისვამთ შეკითხვას ან თქვენ – მე, ასევე დაუსვამთ Google-ს, მთავარია, შეკითხვის დასმის მოტივი გქონდეთ. აი, სად შემოდის სკოლა – ბავშვს უნდა გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა. „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროებით კი არ შეაჯავრონ ქართული ლიტერატურა, არამედ შეაყვარონ პროცესი და უთხრან, ნახე, რა საინტერესოა და მოდი, Google-ს ვკითხოთ.

ფინეთში სკოლა იცით როგორ მუშაობს, შედის მასწავლებელი და ეუბნება მოსწავლეებს: ბავშვებო, დღეს ჩვენ მოთხოვნა-მიწოდებას უნდა გავეცნოთ და აბა, ვინ რა ინფორმაციას მოიპოვებს, ვინ გააკეთებს კარგ პრეზენტაციას. სკოლა, სადაც მასწავლებელი ქადაგებს და ჩვენ თავს ვუქნევთ, მერხზე ხელებდაწყობილი, წავიდა და აღარ დაბრუნდება.

რა თქმა უნდა, ქართულ სკოლას ქართული მოდელი ერგება. ჩვენ გამოკვლეული გვაქვს, რომ ყველა მცდელობა, გნებავთ ტელევიზიაში, გნებავთ სკოლაში, გადმოეღოთ რამე უცხოურის კოპირებით, ჩავარდა და ჩავარდება ამის გაკეთების ყველა შემდგომი მცდელობაც. ამის მეთოდი არის კვლევა, უნდა იკვლიო, რასაც აკეთებ, მერე რაც სიახლესაც გადმოიტან, იმის შედეგი უნდა იკვლიო და ასე, ფრთხილად, ნელ-ნელა წახვალ წინ.

– წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ ძალიან ცუდი შედეგი აქვს საჯარო სკოლების 35%-ს და კერძო სკოლების მხოლოდ 9%-ს. ამ ფონზე, ჩანს რომ კერძო სკოლის სტანდარტიზებული ტესტების სახელმძღვანელოები, პროგრამები უკეთესია. რატომ ვერევით მაშინ კერძო სკოლების საქმიანობაში, თუ ისინი უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე საჯარო სკოლები?

– კერძო სკოლებში ავტომატურად ხვდებიან უფრო შეძლებული ოჯახის შვილები, ვისაც ინტერნეტზე წვდომაც მეტი აქვთ, Google-ისთვის შეკითხვის დასმის მეტი შანსი აქვთ, წიგნიც მეტი აქვთ და რეპეტიტორიც მეტი ჰყავთ, ანუ კვლევის ეს სეგმენტი ავტომატურად უკვე შერჩეულია მოძღვიერებული ბავშვებისგან. კერძო სკოლაში ხვდება ადამიანი, ვისი მშობელიც მიხვდა, რომ უნდა დაახარჯოს ფული შვილის განათლებას და თუ მიხვდა სკოლის შერჩევას, სახლშიც მიხვედრილია და იქაც ეხმარება. მთელ მსოფლიოში კერძო სკოლები, ნახავდით ალბათ ამერიკის კვლევებსაც, რიგით მაღალ შედეგებს აჩვენებენ. ცხადია, ეს სხვა ქვეყნებშიც ასეა.

– კერძო სკოლებში უკეთესი სურათი პროგრამის ხარჯზეა? უკეთესი პროგრამები აქვთ?

– რა თქმა უნდა, პროგრამის ხარჯზეც. ჩვენთანაც კერძო სკოლები გაცილებით თავისუფლად უდგებიან პროგრამას, ვიდრე საჯარო სკოლები. კერძო სკოლას თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალი აქვს, ვიდრე საჯაროს. ის კვლევა, რომელსაც თქვენ ჩაუღრმავდით, რას იკვლევს? ნასწავლის დამახსოვრებას კი არ იკვლევს, წაკითხულის შინაარსს, ჩვენი სკოლა კი არ ასწავლის არანაირ წაკითხულის შინაარსს. წელს ეროვნულ გამოცდაზე მოვიდა წასაკითხი მონაკვეთი „დათა თუთაშხიადან“, რომელიც პროგრამაში საერთოდ არ არის. აბიტურიენტს უნდა წაეკითხა უცნობი ტექსტი და გაეაზრებინა. ათასი სერიოზული პრეტენზია მივიღე, როგორ შეიძლება, რაც არ გისწავლებიათ, იმას რომ გვაკითხებთ. ანუ ჩვენი სკოლა მიმართულია იმაზე, რომ რაც აქამდე არ წაგიკითხავს, არც წაიკითხო. ეს აუცილებლად უნდა შევცვალოთ.

– სკოლების ოპტიმიზაციაზე თუ ფიქრობს სამინისტრო? საქართველოში, ერთ მასწავლებელზე, საშუალოდ, 8 მოსწავლე მოდის, ევროპაში, საშუალოდ – 11, თურქეთში – 20. თურქეთი გაცილებით წინ არის ჩვენზე. ხომ არ ჯობია სამინისტრომ სკოლების ოპტიმიზაციის საკითხი დააყენოს?

– თუ სამინისტრო გადაწყვეტს, რომ სოფლების დაცლას შეუწყოს ხელი, მაშინ კარგი აზრი იქნება სკოლების ოპტიმიზაცია და დახურვა. ჩვენ გვაქვს ბევრი ქვეყნის გამოცდილება, ვინც გააერთიანა სოფლის სკოლები, მათ შორის ჩვენთანაც მიდიოდა ერთი ათი წლის წინ ეს პროცესი და მივიღეთ სოფლების მასობრივი დაცლა იმიტომ, რომ როგორც კი სოფელში არ არის სკოლა და ბავშვმა უნდა იაროს კილომეტრები, სოფელი იცლება.

– რა არის ცუდი სოფლის დაცლაში, თუკი ეს უკეთესი ცხოვრებისთვის კეთდება?

– ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, ამ შემთხვევაში, საქართველოს შენარჩუნებაზეა საუბარი.

– იმავე წიგნიერების კვლევის მიხედვით, ძალიან ცუდი შედეგი აქვთ სოფლის სკოლების 44%-ს და ქალაქის სკოლების 26%-ს, ანუ სკოლების გამსხვილება ცუდი არ არის. რაც უფრო დიდია სკოლა, ურბანულ ადგილას, რაც უფრო ბევრი ბავშვია, მით უფრო კარგ შედეგს აჩვენებს.

– ფუნდამენტურად არასწორი დასკვნა გაქვთ ისევ. მიზეზი სხვა რამეშია, ქალაქის სკოლაში ქალაქელი მშობლების შვილები არიან, რომლებსაც სახლში აქვთ სწრაფი ინტერნეტი, სხვა საშუალებები და შესაძლებლობა. მსხვილ ქალაქებში უფრო მაღალია ყველაფერზე წვდომა, ფულიც მეტი აქვთ და სხვ.

– თქვენ ახსენეთ, რომ არ გვყავს პედაგოგების საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ ჩავანაცვლოთ ისინი, ვინც კვალიფიკაციას ვერ დაადასტურეს გამოცდებით. იმ 1000 პედაგოგს, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები, მაგრამ დღეს არ არიან განაწილებული სკოლებში, არ უნდა მიეცეთ შანსი? იქნებ უკეთესები არიან, იქნებ ასწავლიან სწორედ იმ მეთოდით, თუნდაც, რომელიც Google-ისთვის კითხვის დასმის საშუალებას იძლევა?

– საგნის ცოდნასა და პედაგოგობას შორის კავშირი ძალიან დაბალია. თქვენ თუ იტყვით, რომ ადამიანი, რომელმაც იცის, მაგალითად, ქიმია, მისაშვებია ბავშვთან, ეს მცდარი დასკვნაა და ის გამოცდაც, რომელმაც პედაგოგს, რომელმაც იცის ფიზიკა, სერტიფიცირებული უწოდა, მცდარია, ეს სისტემაა მცდარი.

– გამოდის, რომ დღეს ასეთი არჩევანი გვაქვს – ან საგნის ცოდნა, ან პედაგოგიური მიდგომა?

– დაახლოებით ახლოს მივედით. მოკლედ, ადამიანი უნდა აღვზარდოთ, რომელსაც ექნება შანსი, ისწავლოს რაღაც. რომელია პირველი? რა თქმა უნდა, ორივე. სადაც გვაქვს არჩევანი, მაგალითად, ქალაქის სკოლებში, რომლებიც თქვენ ახსენეთ, რეალურად შემომავალი მასწავლებელი გვყავს და არის არჩევანი შრომის ბაზარზე, ეს ჩანაცვლება მიდის. ქალაქის სკოლები უშვებენ მასწავლებლებს და იყვანენ ახლებს, პროცესი მიდის და, დაახლოებით, 3-5%-იანი დინება მიმდინარეობს, რაც აბსოლუტურად ნორმალურია. სადაც არ არის შემომავალი მასწავლებელი, მაგალითად, სოფელ ნაბეღლავში, იქ, ბუნებრივია, საქმე უფრო რთულადაა. შესაბამისად, ეს აისახება შედეგებზე.

ლაპარაკია იმაზე, რომ ბევრგან არ გვაქვს არჩევანი, საგნის ცოდნა ავირჩიოთ თუ პედაგოგიური მიდგომა – ჩემი შვილი იმ ადამიანს ჩავაბარო, ვინც ვიცი, რომ ბავშვებთან კარგად ამყარებს ურთიერთობას და უმაღლებს მოტივაციას თუ იმ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ფიზიკა. თუ გვყავს ისეთი მასწავლებელი, რომელიც ორივეს ითავსებს, რა თქმა უნდა, საუკეთესოა.

– როცა ამ ათას მასწავლებელს გამოცდას ვაბარებინებდით, რატომ გამოვუტანეთ ვერდიქტი – კი, ბატონო, ჩააბარე გამოცდა, მაგრამ შენ პედაგოგიკა მაინც არ გეცოდინება.

– იმიტომ რომ, მცდარი სისტემა გავაკეთეთ. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მნიშვნელოვანია საგნის ცოდნა.

– ანუ ყველაფერს ხაზი უნდა გადავუსვათ?

– ყველაფერს არა, მხოლოდ იმას, რაც მცდარი იყო.

– აუცილებლად უნდა გკითხოთ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტზე. ტაილანდში არსებობდა ასეთი კონცეპტი, რომ მეფე ჩუქნიდა თავის ცუდ ქვეშევრდომს სპილოს იმ გათვლით, რომ ის მეფისგან საჩუქარს ვერ უარყოფდა და შენახვა იმდენად ძვირი დაუჯდებოდა, გაკოტრდებოდა. მსგავს რამესთან ხომ არ გვაქვს საქმე 60 000-სტუდენტიანი უნივერსიტეტის შემთხვევაში? საქართველოში 180 000 სტუდენტია, ანუ ყოველი მესამე სტუდენტი იქ უნდა სწავლობდეს, რაც ავტომატურად გამორიცხავს ამ უნივერსიტეტის ელიტურობას. დავუშვათ, უცხოელი სტუდენტებითაც რომ შევავსოთ ეს კვოტა, პროფესორების პრობლემაა – 69 000 პროფესორია, მაგალითად, MIT-ში (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში) 9 ბავშვზე ერთი პროფესორი მოდის და ჩვენთან რომ 10 ბავშვზე 1 პროფესორი მოდიოდეს, გამოდის, რომ 6 000 პროფესორი გვჭირდება. კარგი კომპიუტერული მეცნიერებების აკადემიური კომპეტენციის მქონე პროფესორი, მაგალითად, გვყავს 30. თუ ჩამოვიყვანთ ამ პროფესორებს და, მინიმუმ, 2 000 ევროს გადაუხდი (მინიმალური ანაზღაურება, რაც უცხოელ პროფესორს შეიძლება გადაუხადო), გამოდის, რომ სამინისტროს ბიუჯეტის თითქმის 20% მარტო სახელფასო ბიუჯეტს დასჭირდება.

– არ ვიცი, რატომ ადარებთ მასაჩუსეტს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ელიტარულია და ძვირი. მოდი, შეადარეთ ჩვენს რეგიონში უნივერსიტეტებს და იქაური პროპორციები ნახეთ – სინგაპური, ტაილანდი, ჩინეთი ან სხვ. ჩვენ გარშემო, სადღაც 1000-კილომეტრიან რადიუსის წრეში, დაახლოებით 800000000 ადამიანია, ყველაზე მაღალი მოთხოვნაა უმაღლეს განათლებაზე და სწრაფად მზარდი ბაზარია. მასაჩუსეტში და ბოსტონში კი არ არა, აზიაში, ანუ ჩვენ გარშემო 1000 კილომეტრში, დაფარვა უმაღლესი განათლების ყველაზე დაბალია. აფრიკა არის ყველაზე მზარდი ბაზარი.

– ჩვენ გვაქვს 20 სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც უბედურ დღეშია და რატომ იმათ ოპტიმიზაციაზე არ ვიზრუნოთ და იქიდან არ გავაკეთოთ რაღაც, ვიდრე ახალ გრანდიოზულ პროექტს წამოვიწყებდეთ?

– რა თქმა უნდა, ვზრუნავთ. სწორედ ამას ვაკეთებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც და ტექნიკურ უნივერსიტეტშიც.

– სახელმძღვანელოების ბიზნესის დაბრუნება გამომცემლებისთვის, ასევე, დამატებით, გუშინ თქვენ დააანონსეთ, რომ საუბარია ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე. თუმცა ამ ყველაფერში, საგამომცემლო ბიზნესისთვის, განსაკუთრებით საინტერესო იქნება ფასების მატრიცა, რომელიც თქვენ ახსენეთ – 18-19 მილიონი ლარი, რასაც სამინისტრო გეგმავს, რომ დახარჯოს მომავალ წელს ამ მიმართულებით. რასთან გვაქვს საქმე? ფაქტობრივად, ბიზნესს ეცოდინება, რის მოგებას შეძლებს, გაწერილი იქნება თითქმის ყველაფერი? ამ მოდელზეა, ბატონო სანდრო, საუბარი?

– ჩვენ, ისტორიულად, გავიარეთ ორი ეტაპი: ერთი – თავისუფალი ბაზრის ეტაპი, როცა ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა სახელმძღვანელოებში, მეორე – სუპერდარეგულირებული ბაზარი, როცა მე (სამინისტრო) ვბეჭდავდი თვითონ, გამოვართმევდი წიგნს გამომცემელს და ვბეჭდავდი. ორივე

ინტერვიუ მინისტრთან

რყევამ – ერთმა დააზარალა მშობლები და ოჯახები, მეორემ – გამომცემლები და საგამომცემლო ბიზნესი. ახლა ვცდილობთ, გავიდეთ მესამე ეტაპზე, სადაც გამომცემელს ექნება ეს ბიზნესი, მის ხელში იქნება ბეჭდვის ნაწილიც, გამოცემის საავტორო ნაწილიც, თუმცა ფასები იქნება უფრო, ასე ვთქვათ, „მოკეპილი“, დარეგულირებული ზღვრულად, რაოდენობის, ტირაჟის და თემატიკის მიხედვით. ფაქტობრივად, ჩვენ ვცდილობთ, გამომცემლებთან ერთად ვიცოდეთ წინასწარ, ანუ პრაისლისტი უნდა გავაკეთოთ.

– „აუდიტორია 115“-თან დაკავშირებითაც გკითხავთ და ამით დავასრულოთ. ამ შეკითხვის გარეშე ვერ გაგიშვებთ. გუშინ გვსტუმრობდა თსუ-ს ახალარჩეული რექტორი და მთლად კარგი ფეხი არ გვქონია, იმიტომ რომ, ჩვენგან რომ წავიდა, სამწუხაროდ, გახსნის ცერემონიალი ჩაიშალა. არსებობს ამ პრობლემის მოგვარების რეცეპტი?

– მე მგონია, რომ არსებობს და ეს რეცეპტი ორნაწილიანია. ერთი ნაწილი – ნებისმიერი ადმინისტრაცია, რომელიც არ მოუსმენს სტუდენტებს უმაღლეს დაწესებულებაში, განწირულია. ასეა, თუ დემოკრატიას აშენებ. ავტორიტარულ რეჟიმში პრობლემა არ არის, შენ გადაწყვიტავ და მერე შეგიძლია იქით თავში ურტყა ვიღაცებს. ჩვენ ამას მოვშორდით, იზოლირება გავაკეთეთ და ვამბობთ, რომ გვინდა დემოკრატია, გვინდა თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა უნივერსიტეტის. წინა რექტორების შემთხვევებში ყოველთვის არ იყო ეს დიალოგი გამჭვირვალე და სტუდენტების მოთხოვნებს, შეიძლება, ხანდახან ცოტა ზედაპირულად უდგებოდა ვიღაც. ჩვენი დაპირება სწორედ ამაში მდგომარეობს, ჩემი – სამინისტროს მხრიდან და რექტორისაც, რომ ვაპირებთ მოვუსმინოთ სტუდენტებს.

მეორე საკითხია ფორმა. გუშინ „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა თქვეს, ჩვენ მზად ვართ კონსტრუქციული დიალოგისთვისო. შენ თუ გინდა, დიალოგი, სხვაგვარად უნდა მოიქცე. თქვენ რომ მე ტრანსფარანტებით დამხვედროდით და მერე გეთქვათ, მოდი ვიმეგობროთო, ეს არ იქნებოდა მთლად კარგი დასაწყისი. ჩემი რჩევა იქნებოდა, რომ ფორმა დავარეგულიროთ, თორემ შინაარსობრივად ექვსივე მოთხოვნას, რომლებიც გუშინ „აუდიტორია 115“-მა გააჟღერა, იპოვით, შარვაშიძის ერთი თვის წინ დაწერილ კონცეფციაში.

– შარვაშიძეს არ ენდობიან იმიტომ, რომ დაჰპირდა თვითმმართველობის საკითხის მოგვარებას მაისში. სამინისტროში იყო და ბერკეტი ჰქონდა, ეს მაშინ ვერ მოახერხა, ახლა როგორ მოახერხებს?

– მეც ვიყავი ამ პროცესში ჩართული და პირადად შევესწარი, როგორ იცვლებოდა მოთხოვნები შეხვედრიდან შეხვედრამდე, არ იყო კონსტრუქციული გარემო, ასე ვთქვათ, შეთანხმების მისაღწევად და ეს ძალიან სამწუხაროა. მე ძალიან ვწუხვარ, როდესაც ძალადობის გზას ირჩევს ვინმე. მგონია, რომ ჩვენს ქვეყანას ეს არ სჭირდება და მეორე მხრივ, ძალიან ვწუხვარ, როდესაც ერთი რამე ითქმება საჯაროდ და მეორე – კერძო საუბარში.

მოამზადა ლალი თვალაგეიშვილმა
tv პირველის ეთერში „საქმიანი დილის“ სტუმრის ფორმატში გამართული საუბრის მიხედვით

პროფესიული განათლება

პროფესიული სასწავლებელი პირდაპირი გზაა დასაქმებისკენ

3 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის, 150-ზე მეტ პროფესიულ პროგრამაზე რეგისტრაცია იწყება.

რეგისტრაციის დეტალებზე საუბრობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**: *„პროფესიულ პროგრამათა შორისაა 50-მდე ახალი მოდულური პროგრამა, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დამსაქმებლის ჩართულობით იქნა შემუშავებული. წელს, პირველად, გამოცხადდა მიღება მეცხოველეობის, მეხილეობის და მეღვინეობის მიმართულებით, სამუშაოზე დაფუძნებული დუალური სწავლების ფორმატის პროგრამებზე. დამსაქმებლები პირველად ჩაერთვებიან მომავალი სტუდენტების შერჩევის და სწავლების პროცესში.*

შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის მოქმედებს ალტერნატიული ჩარიცხვის პროცედურები. განახლებულია ტექნიკურ-მატერიალური ბაზები და ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროების შესაბამისად.

სახელმწიფო აგრძელებს ზრუნვას მოწყვლად ჯგუფებზეც. გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, დევნილი პროფესიულის სტუდენტების მხარდაჭერა, ტრანსპორტირების ან საცხოვრებელი ქირის ხარჯების ანაზღაურების ფორმით და ამ პროგრამას ახორციელებს დევნილთა სამინისტრო.

რეგისტრაცია შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რესურსცენტრებში და საინფორმაციო ცენტრებში, მხოლოდ პირადობის მოწმობით. აპლიკანტი არჩევანს აკეთებს შეუზღუდავად, პრიორიტეტების მიხედვით. პროფესიული ტესტირების შედეგების მიხედვით, სახელმწიფო სრულად დააფინანსებს პროფესიულ განათლებას, სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.“

დუალურ პროგრამებს, პარტნიორ დამსაქმებლებთან ერთად, ახალციხის, კაჭრეთის, სენაკისა და წინამძღვრიანთკარის კოლეჯები განახორციელებენ. სტუდენტების მისაღებად წელს უკვე მზად არის, ასევე, სამი ახალი სასწავლებელი გუდაურში, მცხეთასა და აგარის მუნიციპალიტეტებში.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდა არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის: მათ შეუძლიათ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე გაიარონ პროფესიული ტესტირება, შემდეგ კი სახელმწიფო დაფინანსებით დაეუფლონ ქართულ ენას და გააგრძელონ პროფესიული განათლების მიღება ქართულ ენაზე.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„პროფესიული პროგრამების პოპულაროობა სულ უფრო იზრდება. ჩვენ ყველას გვახსოვს ის დრო, როდესაც პროფესიული ლამის სასჯელად განიხილებოდა – თუ ცუდად მოიქცევი, პროფესიულში წახვალ. საბჭოთა დროს პროფესიულს ცუდი ბრენდი დაუმკვიდრდა, ეს დამოკიდებულება ძალიან სწრაფად იცვლება. ახლა აღარ არის ეს დრო, ძალიან ბევრი ახალგაზრდა, სტუდენტობის პარალელურად, უმაღლესშიც სწავლობს და პროფესიულშიც. ძალიან დიდი არჩევანია სპეციალობების, დაწყებული გრაფიკული დიზაინერობით – ოპერატორობა, ფოტოხელოვნება, კულინარია, ტანსაცმლის დიზაინი, ვიზაჟი და მაკიაჟი, სტილისტი და ბევრი სხვა. ჩვენ შეჩვეული ვართ, რომ პროფესიული სპეციალობები უფრო კავშირში უნდა იყო ხელობასთან, მაგალითად – დურგლობასთან. რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ არის ძალიან კრეატიული სპეციალობებიც. სწავლის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს შევეჯიბრებით ინფრასტრუქტურითაც და მასწავლებლებითაც.*

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წელს პირველად არის მეხილეობა, მეღვინეობა, მეცხოველეობა – ტრადიციული საფერმერო მეურნეობის თემები. ჩვენთან ხშირად გაიგონებ – პაპაჩემი ასე რგავდა და ამიტომ მეც ასე ვრგავ. დღეს ახალი ტექნოლოგიები გვჭირდება, იმიტომ რომ, პაპაჩვენი რომ ასე რგავდა, იაპონიაში ხუთჯერ მეტი ვაშლი მოჰყავთ იმავე ნაკვეთზე. შესაბამისად, პაპის დანატოვარი არ უნდა დავკარგოთ, ამავე დროს, ფერმერს მისმა შვილმა, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში სწავლობს, უნდა უთხრას, მოდი, ახლებურად ვცადოთ, ახლებური ნაბიჯები გადავდგათ და ა.შ. ძალიან მოხარულები ვართ, რომ ეს პროგრამებიც დამსაქმებლების ჩართულობითაა შემუშავებული, ანუ მსხვილი ფერმერი ამბობს, რომ კონკრეტული სპეციალისტი მინდა ჩემთან სამუშაოდ. შესაბამისად, მცირე ფერმერის შვილმა რომ ისწავლოს ამ მიმართულებებზე, მერე შეუძლია დიდ ფერმაში იმუშაოს, პრაქტიკული გამოცდილება მიიღოს და მერე საკუთარი საოჯახო მეურნეობა განავითაროს. მთელ მსოფლიოში, ტრადიციულ ფერმერულ ქვეყნებში, ზუსტად ასე ხდება. ამ ხალხს, თუ უნდათ, პარალელურ რეჟიმში, შეუძლიათ უმაღლესი განათლებაც მიიღონ, ეს არანაირად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ეს საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპულთანაა მისადაგებული და ამ სერტიფიკატით ევროპაში ესმით, ხვდებიან, რა გაქვს ნასწავლი. ეს ბოლო პერიოდში გაკეთდა და ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, საბჭოთა პროფესიული ჩარჩო ცოტა განსხვავებული და ცალკე მდგომი იყო.

არის ერთწლიანი პროგრამები, ორწლიანი და სამწლიანი, დონეების მიხედვით. კულინარიის მაგალითი რომ ავიღოთ, პირველი წლის ბოლოს უფრო მარტივი რაღაცების გაკეთება შეეძლებათ და ისინი პირველი დონის კულინარები იქნებიან, მეორე წლის ბოლოს – მეორე დონის კულინარი, მესამე დონის კულინარები, შეიძლება ითქვას, რომ სასწაულებს ახდენენ.

ერთი ნაკლი აქვს სისტემას – უკვე არსებული ცოდნით რომ მიხვიდეთ, მაინც ნულიდან უნდა დაგაწყებინონ, სხვა რეჟიმი არ აქვს. ამიტომ, ახლა ვმუშაობთ არსებული კვალიფიკაციების აღიარებაზე. ნულიდან დაწყება უინტერესოს ხდის სწავლებას.

კონკურენცია, ჯერჯერობით, შედარებით დაბალია, მაგრამ მოთხოვნა იზრდება და ბევრ პროფესიაში უკვე უმაღლესს გაასწრო. შეშვებისას ვცდილობთ, რომ მსურველები მასობრივად შევუშვათ, მაგრამ ადამიანი, რომელიც უდისციპლინოა, არ ამჟღავნებს ინტერესს (არიან ისეთებიც, რომლებიც, უბრალოდ, მშობლის ხათრით შევიდნენ) და ამიტომ სწავლის პროცესში გვტოვებს. თუმცა, ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა მერე გვიბრუნდებიან – ცოტა ჭკუაში რომ ვარდებიან, ინტერესიც უჩნდებათ.

ამ ოთხი თვის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, ალბათ 10 კოლეჯს ვესტუმრე და ვნახე, რომ ძალიან ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია ისეთი ნიჭიერი და წარმატებული, რომ ნამდვილად სასიხარულოა. ამ ხალხს რომ გაიცნობთ, მიხვდებით, ჩვენ უფრო გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობები, ვიდრე მათ.

საიდან წამოვიდა ამ პროგრამის ინიციატივა? ჩვენმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა, იმიტომ რომ, ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ პროფესიული განათლების განვითარება კრიტიკულია უმაღლესი განათლებისთვისაც. სანამ მთელი საზოგადოება, ყველა ახალგაზრდა უმაღლესში სწავლას ინდომებს, ეს არ იქნება უმაღლესი. უნდა გაიყოს აბიტურიენტების ნაკადი (ეს ყველა ქვეყანაში ასეა) და ნაწილი პროფესიული კუთხით წავიდეს, ნაწილი – უმაღლესი განათლების კუთხით. უმაღლესში ადგილების რაოდენობა შედარებით მცირე უნდა იყოს და ზუსტად ის ხალხი მიდიოდეს, ვისაც აკადემიური მიზნები ამოძრავებს და მეცნიერება აინტერესებს. დანარჩენი უნდა იყოს პროფესიულის მხარეს, ოღონდ პროფესიული ცუდს კი არ უნდა ნიშნავდეს, პირიქით – უკეთესს. დასაქმების კუთხით, ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო 3 400 ვეტერინარს ეძებდა, რომ გაეგზავნა უცხოეთში სასწავლებლად, სრულიად უფასოდ და მხოლოდ 6 იპოვეს, აქ კომენტარიც კი ზედმეტია. პროფესიული სასწავლებელი დღეს არის პირდაპირი გზა დასაქმებისკენ. შემთხვევები გვაქვს, როდესაც სამკერვალო ქარხანას პროფესიული სასწავლებლის მთელი გამოშვება, 100% მიჰყავს და ამუშავებს თავისთან, არის ხოლმე მოთხოვნა სადაზღვევო აგენტებზე. უამრავი სხვა მიმართულებაა, მაგალითად საექთნოც პროფესიული სპეციალობაა, მოკლედ, ძალიან ბევრი საჭირო და გამოსადეგი მიმართულებაა.

როცა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, ერთი წლის წინ, ამაზე საუბარი დაიწყო, რომ ეს უნდა გახდეს მთავარი პრიორიტეტი, ფეისბუკზე მოსდიოდა წერილები, თუ კარგია, შენი შვილები წაიყვანე პროფში, ჩვენს შვილებს რას ერჩიო. ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება იყო. დღესდღეობით, განწყობა შეიცვალა. მეც და გიორგიც ჩვენს შვილებს (ჯერ სკოლაში არიან) დიდი სიამოვნებით ვურჩევთ პროფესიულში სწავლას.“

პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირება შეუძლია ყველა მსურველს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირსაც, რომლისთვისაც მოქმედებს ალტერნატიული ჩარიცხვის პროცედურები. სახელმწიფო დაფინანსება შეუძლია მიიღოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქემ და ჰუმანიტარული ლტოლვილის სტატუსის მქონე პირმა, რომელიც გადალახავს პროფესიული ტესტირებისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 29 ოქტომბერს, რეგისტრანტებისთვის პრეტესტი ჩატარდება, ხოლო 30 ოქტომბერს – ერთიანი პროფესიული ტესტირება.

მოამზადა ლალი თვალაგეიშვილმა

ერთიანი ეროვნული გამოცდები

ზოგადი უნარები სამყაროსთან ურთიერთობაშიც გვეხმარება

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო დოლიძე

ზოგადი უნარების გამოცდის შედეგები

2016 წლის გამოცდები ძალიან საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ პირველად შევთავაზეთ აბიტურიენტებს ნახევრად ელექტრონული საგამოცდო ფორმატი, რომელიც გულისხმობდა ტესტის მინოდებას კომპიუტერის ეკრანზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო სიახლეა იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებლობას იძლევა, კიდევ სხვა ნაბიჯები გადადგათ სამომავლოდ და სრულად ელექტრონულ ფორმატზე ვიფიქროთ, რომელიც ტესტის გამრავალფეროვნების საშუალებას იძლევა.

ვფიქრობ, წელს გამოცდამ ძალიან კარგად ჩაიარა, აბიტურიენტებისთვის მოხერხებული გარემო იყო, შესაბამისად, არ ყოფილა რაიმე პრობლემა, ტექნიკური ხარვეზის არც ერთი შემთხვევა არ გვქონდა გამოცდის დროს, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მცირე ხნით შეფერხება ჰქონდა ამა თუ იმ ცალკეულ აბიტურიენტს, ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად სწორდებოდა და შესაბამისი დროც ემატებოდა აბიტურიენტს. არ ყოფილა არც ერთი სერიოზული ჩივილი. გამოცდამ, ფორმატის თვალსაზრისით, ძალიან კარგად ჩაიარა.

აუცილებლად უნდა ითქვას შარშანდელ გამოცდებთან დაკავშირებით – ერთგვარი აჟიოტაჟი იყო წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებულად რთულიაო, ეს არ იყო სიმართლე. თუკი შევადარებთ 2005 და 2006 წლის გამოცდებს, როცა 100-ქულიანი ტესტი გვქონდა და 15 ქულა იყო ბარიერი, რა თქმა უნდა, შარშან ბევრად მეტი აბიტურიენტი აღმოჩნდა ბარიერს ქვემოთ. ეს სრულიად არასწორი შედარებაა, უნდა შევადაროთ წინა წლებს, როცა ბარიერი გავზარდეთ – 30% და გამოცდა გახდა 80-ქულიანი. აღმოვაჩენთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის, მხოლოდ 1, 2 ან 3%-შია ცვლილება და ტესტი რეალურად ბევრად უფრო რთული, როგორც ამას ზოგიერთები ამბობდნენ, ნამდვილად არ იყო.

უმაღლესი შეფასება – ერთ-ერთი მაჩვენებელი

ჩვენ გვქონდა 78-79 ქულები და ვულოცავ ამ ადამიანებს და მათ მშობლებს. ისინი ამაყები უნდა იყვნენ, რომ ასეთი უნარიანი, ჭკვიანი და მოაზროვნე შვილები ჰყავთ. ვულოცავ იმ უმაღლეს სასწავლებელსაც, სადაც ისინი აღმოჩნდნენ, იმიტომ რომ მართლაც ძალიან კარგი სტუდენტები იქნებიან. ეს არის ზოგადი უნარების ტესტის მთავარი დანიშნულება, მან უნდა იწინასწარმეტყველოს, როგორი სტუდენტი იქნება ადამიანი, მასალის აღქმისა და ცოდნის შეძენის თვალსაზრისით. ცხადია, სხვა ტიპის თვისებებს, როგორიც არის: შრომისმოყვარეობა, დისციპლინა და სხვა, ეს ტესტი არ ზომავს, მაგრამ როგორ შეიძენს სტუდენტი ახალ ცოდნას, როგორ გაიაზრებს ახალ ინფორმაციას და როგორ ისწავლის უმაღლეს სასწავლებელში, ზოგადი უნარების ტესტი ნამდვილად კარგი პრედიქტორია და ვინც მაღალი ქულა მიიღო ამ ტესტში, ყველას ვულოცავ.

ჩვენ ვფიქრობთ სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას სწორედ ზოგადი უნარების ტესტით, პირველ რიგში, იმიტომ რომ, ეს ტესტი მხოლოდ არჩევითდავალებიან პასუხებს შეიცავს, შესაბამისად, წერა აქ მნიშვნელოვანი არ არის. აბიტურიენტებს ამის გამოცდილება აუცილებლად ექნებათ საატესტატო გამოცდაზე (მათ მეთერთმეტე კლასში უკვე ჩააბარეს 4 გამოცდა), სადაც კომპიუტერშივე მონიშნეს პასუხები. იმავე პრინციპით მოუწევთ მუშაობა. თუმცა, ჯერ გადაწყვეტით მაინც ვერ ვიტყვით, რომ ეს იქნება 2017 წლის ზაფხულში, იმიტომ რომ, ძალიან დიდი დრო და ძალისხმევაა საჭირო, ასევე, ტექნიკურად არის ძალიან დიდი სამუშაო ჩასატარებელი (ელექტროენერგიით მომარაგება, ინტერნეტით უზრუნველყოფა და ა.შ.). აუცილებლად ჩავატარებთ სასწავლო პრეტესტირებას და ბევრ სადიაგნოსტიკო პროცედურას და, თუკი აღმოჩნდება, რომ მზად ვართ ამისთვის, გვინდა, რომ აბიტურიენტებს ეს სიახლე, რაც შეიძლება მალე, შევთავაზოთ – ზოგადი უნარებით დაიწყოთ სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა. ელექტრონული ფორმატი იმიტომაც გვჭირდება, რომ ტესტზე მუშაობა გავამრავალფეროვნოთ და საინტერესო გავხადოთ.

რა შეიცვლება სრულად ელექტრონულ ფორმატზე გადასვლით

აღარ იქნება პასუხების ფურცელი. როგორც ზოგიერთი აბიტურიენტი ამბობს, სწორედ პასუხების ფურცლის შევსების დროს უშვებენ შეცდომას, მაგალითად, ნომერ მესამე დავალების პასუხს მეოთხე დავალებას უწერენ, მეოთხის – მეხუთეს და ა.შ., რაც იწვევს არასწორი პასუხების ჯაჭვს და ამიტომ აქვთ დაბალი ქულა. ასეთი პრეტენზია არაერთგზის მოგვისმენია. ელექტრონულ ფორმატში ტესტირების შემთხვევაში, ეს გამორიცხული იქნება, იმიტომ რომ, იქვე, კომპიუტერის ეკრანზეევე, შეეძლებათ პასუხის მონიშვნა – დავალების ქვემოთ იქნება პასუხები მოცემული და იქვე აღნიშნავენ. ამ ტიპის შეცდომა გამორიცხული იქნება. გარდა ამისა, დავალების ფორმატი მეტი მრავალფეროვნებისა და ფერადოვნების, ასევე, დამხმარე ტიპის სხვადასხვა ვიზუალური მასალის ან ვიდეოების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ვიმეორებ, რომ ეს, ალბათ, უფრო მომავლის პერსპექტივაა, არა 2017 წლის.

მაგალითად, წინადადების შევსების დავალება ძალიან ლაკონური გახდება იმ თვალსაზრისით, რომ პასუხების ვარიანტი პირდაპირ შეგიძლია „გადააჩოჩო“ (არაკადემიური სიტყვაა, მაგრამ მაინც ვიხმარ) იმ ადგილას, სადაც გამოტოვებული ადგილია, სპეციალურად ხარვეზია გაკეთებული და შეამოწმო, კარგად ჯდება თუ არა, აზრობრივად გამართულ წინადადებას ვიღებთ თუ არა, ანუ ტექნიკურად გამარტივდება და შინაარსობრივადაც უფრო მრავალფეროვანი გახდება ტესტი.

ყველაზე საინტერესო ჩვენი აბიტურიენტებისთვის არის ის, რომ შედეგი გვექნება ძალიან სწრაფად. აღარ იქნება საჭირო 40 ათასუ პასუხების ფურცლის დასკანერება, ვერიფიკაცია და ა.შ. შეიძლება იმ წუთსავე არ იყოს, გამოცდაზეევე ვერ დავინახოთ ჩვენი ქულა, მაგრამ ძალიან მალე – 2-3 დღეში – უკვე შესაძლებელი იქნება, ვიცოდეთ შედეგი, რაც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობაა სრულად ელექტრონული ფორმატის.

მუდმივი კითხვა – როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის

ჩვენი აბიტურიენტები, ყოველწლიურად, სერიოზული გამოწვევის წინაშე დგებიან – ჩასაბარებელი აქვთ 4 ან 5 გამოცდა და აქვთ განცდა, რომ სკოლის მიერ მიცემული ცოდნა არ იქნება საკმარისი ამ გამოცდების ჩასაბარებლად და აუცილებლად უნდა მოემზადონ. მე არ მინდა ახლა იმ მიზეზებზე ვილაპარაკო დეტალურად, რატომ გვაქვს ზოგადად ეს ნდობის თუ უნდობლობის მომენტი, კონკრეტულად ზოგადი უნარების გამოცდაზე ვილაპარაკებ.

ზოგადი უნარები სკოლაში ცალკე საგნად არ გვაქვს და ეს ძალიან სწორია. თუმცა, გამიგია, რომ ბევრი სკოლა სთავაზობს თავის მოსწავლეებს უნარებში მომზადებას – ან საგანი აქვთ ან დამატებითი მეცადინეობა, წრესავით. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ზოგადი უნარები არ შეიძლება იყოს სასკოლო საგანი, ეს არის სადიაგნოსტიკო საშუალება იმისა, შეუძლია თუ არა ადამიანს გაიგოს, გაიაზროს ახალი ინფორმაცია, ვერბალურად თუ რიცხობრივად წარმოდგენილი. ამის სწავლება ერთ წელიწადში, რაღაც კონკრეტული საგნის სწავლების ფარგლებში ჩაკეტვა, დანაშაულია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სკოლის მთელი პერიოდის განმავლობაში, დაწყებული პირველი კლასიდან, ბავშვს ვასწავლოთ აზროვნება. რას ნიშნავს ეს? შეხედოს კრიტიკულად რაღაცას, ისწავლოს ფიქრი, თავისუფლად დასვას შეკითხვები, ყველა წინადადებას, ყველა სიტყვას დაუფიქრდეს, ეძებოს მიმართებები და კავშირები. ეს უნდა ვასწავლოთ როგორც ქართულის გაკვეთილზე, ისე მათემატიკის, ბუნების, ფიზიკის, ქიმიის – ყველა საგნის ფარგლებში. არ უნდა დავაზეპირებინოთ, არ დავაზუთხინოთ, ყოველთვის ვიყოთ გახსნილები მათი შეკითხვებისთვის, უნდა ვაიძულოთ თვითონ იფიქრონ. ზოგადი უნარების გამოცდის იდეაც ეს არის – აღმოვაჩინოთ უმაღლესი სასწავლებლებისთვის ის ადამიანები, რომლებიც აზროვნებენ, ფიქრობენ და შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წაკითხვა, გააზრება და შეთვისება.

დაიწყო სასწავლო წელი და ყველა ჩვენი მეგობარი ემზადება, ყველა რეპეტიტორთან დადის და ვღელავთ, რომ მარტო ჩვენ არ ვემზადებით, თან უნარების რეპეტიტორები განსაკუთრებით ძვირადღირებულები არიან და ჩვენ და ჩვენი მშობლებიც ვფორიაქობთ. ეს სერიოზული ტრაგედიაა ოჯახში. როდესაც ვამბობთ, რომ ზოგადი უნარების გამოცდისთვის მომზადება არ არის საჭირო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ დავუფიქრდეთ რა გამოცდაა ეს. რა თქმა უნდა, უნდა გავიცნოთ ამ გამოცდის ფორმატი, ვიცოდეთ, რა ტიპის დავალებები შეგვხვდება, რა ტიპის ინსტრუქციები ახლავს ამ დავალებებს, უნდა ვიცოდეთ ამ დავალებებთან მუშაობის პრინციპი, ვნახოთ ზოგიერთი ტესტი და შევეცადოთ, დამოუკიდებლად შევასრულოთ. ვნახოთ, როგორ შედეგს ვაჩვენებთ წლის დასაწყისში, რომ შემდეგ, წლის განმავლობაში, სათანადოდ მოვემზადოთ. ეს ყველაფერი აბიტურიენტებს შეუძლიათ გააკეთონ ჩვენს ვებგვერდზე მოცემული საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებით, რომლებიც წლების განმავლობაში, პრინციპში, არ იცვლება, იმიტომ რომ, იდეა ყოველთვის ერთი და იგივე რჩება. ჩვენ ყოველწლიურად ვაქვეყნებთ საგამოცდო ტესტს, მაგალითად, 2016 წლის ტესტი ახლაც დევს ვებგვერდზე და პირველი რეკომენდაცია, რომელიც აბიტურიენტებს შეგვიძლია მივცეთ, არის ის, რომ აიღონ ამ ტესტის 4 ვარიანტიდან ნებისმიერი, შესაბამის ენაზე (ქართულად, რუსულად, აზერბაიჯანულად, სომხურად – ყველა ვერსია მოცემულია ვებგვერდზე) და შეასრულონ გამოცდასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში. ვგულისხმობთ იმას, რომ ტესტი უნდა დაინახონ კომპიუტერის ეკრანზე და დაინიშნონ დრო. პასუხების ფურცლის ვერსიაც არის ჩვენს ვებგვერდზე, შეუძლიათ იქიდან აიღონ ან უბრალოდ ფურცელზე ჩამოწერონ. დაინიშნონ საათი – სამი საათი და 10 წუთი (უნარების გამოცდის დრო გაიზარდა, 5 წუთი ვერბალურ ნაწილს დაემატა და 5 წუთი – მათემატიკას), შეასრულონ საათსა და 35 წუთში ვერბალური ნაწილი და საათსა და 35 წუთში – მათემატიკური ნაწილი. მას შემდეგ, რაც სწორ პასუხებს (რომლებიც, ასევე, ვებგვერდზეა მოცემული) შეადარებენ თავიანთ ნამუშევარს, დაფიქრდნენ, რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარე. პირველ რიგში, სუსტ მხარეზე უნდა დავფიქრდეთ, რომ ვეცადოთ გამოსწორებას. სუსტი მხარე შეიძლება აღმოჩნდეს როგორც მათემატიკურ ნაწილში, ასევე ვერბალურშიც.

მათემატიკური ნაწილი

მათემატიკურ ნაწილს რაც შეეხება, აქ უფრო ადვილია სუსტი მხარეების გამოსწორება. ჩვენ რატომღაც გვაქვს არასახარბიელო ტრადიცია, ბავშვობიდან გვაწებებენ იარლიყებს – „ამას მათემატიკა არ გამოსდის“, „ეს ჰუმანიტარია თავისი ბუნებით“, „ეს კი ტექნიკოსია და მათემატიკაც კარგად გამოსდის“ და ა.შ. ეს შეცდომაა, ყველას გამოსდის ის მათემატიკა, რომელიც უნარების ტესტშია მოცემული, იმიტომ რომ, ეს არ არის მათემატიკის გამოცდა, ეს არის რიცხვებთან ურთიერთობის შეფასება. შეგვიძლია თუ არა რაოდენობრივად წარმოდგენილი ინფორმაცია დავამუშაოთ – გავიაზროთ, გავიგოთ და პრობლემა გადავჭრათ, რომელიც რაოდენობრივადაა ჩამოყალიბებული? ეს ყველას თანაბრად შეგვიძლია. არსებობს სამწუხარო ტრადიცია, ადამიანებს ეშინიათ რიცხვების დანახვა. თუ ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ასეთი ტიპის ადამიანი ვართ, მათემატიკური ნაწილი გავხსენით და გული გაგვისკდა, რომ ამას ვერ დავძლევთ და ა.შ., პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ, როგორ მოვერიოთ ამ შიშს და როგორ მივიღოთ მინიმალური ცოდნა (რაც ნიშნავს 6 კლასის, მაქსიმუმ – 9 კლასის ცოდნას) მათემატიკაში. ეს არის ჩვეულებრივი ცოდნის შეძენის პროცესი. თუკი ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული დეფიციტი ამ მიმართულებით, უნდა ვისწავლოთ, რაც ექვსი კლასის ფარგლებში იციან მოსწავლეებმა და ძალიან იშვიათად – მეცხრე კლასამდე მასალა. მაგალითად, არასოდეს არ გვხვდება ლოგარითმი, არაფერი ტრიგონომეტრიის მსგავსი იქ არ არის, შესაბამისად, მათემატიკაში უმარტივესი, ელემენტარული, საბაზისო ცოდნა უნდა გვქონდეს და ეს ცოდნა უნდა იყოს აზრიანი, არა პროცედურების დამახსოვრება და სხაპასხუპით ცოდნა. ეს არ არის ამ ტიპის გამოცდა, აზრი უნდა გვესმოდეს, რას ნიშნავს რიცხვის პროცენტი, წილადი, ნაწილი და ა.შ. თუ ჩვენ ამ მხრივ გვაქვს დეფიციტი, შეგვიძლია მთელი წლის განმავლობაში წარმატებით შევავსოთ.

მათემატიკის ნაწილი, ყოველთვის, ოდნავ უფრო რთულია, ვიდრე ვერბალური. წელს ერთადერთი ვერსია გვქონდა, სადაც თანაბარი სირთულის იყო მათემატიკური და ვერბალური ნაწილები (ვერბალური ოდნავ რთულიც კი იყო), მაგრამ, როგორც წესი, წლიდან წლამდე, მათემატიკური ნაწილი, სიმარტივის თვალსაზრისით, ოდნავ ჩამორჩება ვერბალურ ნაწილს. ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს. ერთ-ერთი ის არის, რომ აბიტურიენტები ჯერ ვერბალურ ნაწილზე მუშაობენ და საათ-ნახევრის ინტენსიური მუშაობის შემდეგ, გარკვეულწილად, დაღლილებიც არიან ალბათ, როცა მათემატიკურ ნაწილზე გადადიან. სხვაგვარად მუშაობის საშუალებას ეს ფორმატი არ იძლევა. ვერბალურ ნაწილში გვაქვს უფრო დიდი დავალებები, წასაკითხი ტექსტი და ამასთან დაკავშირებით 6 შეკითხვაზეა პასუხი გასაცემი, ვრცელი დავალებები ლოგიკაში და ა.შ. ამიტომ, ეს რომ მეორე ნაწილში გადავიტანოთ და პირველ ნაწილად მათემატიკა შევთავაზოთ, კიდევ უფრო რთული იქნება ჩვენი აბიტურიენტებისთვის.

ჩვენი ცენტრი, როგორც იცით, ძალიან ბევრ საერთაშორისო კვლევას ატარებს. კვლევები, რომლებიც, მაგალითად, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არერთხელ ჩატარდა, არასოდეს კარგ შედეგებს არ გვიჩვენებს – მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საშუალოზე ოდნავ ქვემოთ ვართ ჩვენი ცოდნით მათემატიკაში. შეიძლება სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენი აბიტურიენტებისთვის მათემატიკა უფრო (ოდნავ) რთულია, ვიდრე ვერბალური ნაწილი. თუმცა, ისევ ვიმეორებ, ამ ცოდნის დანაკლისის შევსება – რიცხვებთან ურთიერთობისა და რიცხვებით ოპერირების უნარების გამომუშავება – ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია.

საგულისხმო დეტალი გამოცდისთვის მზადებისას – 3 საათი და 10 წუთი უწყვეტი მუშაობის პრინციპი

გარდა იმისა, რომ უნდა ვიფიქროთ კონკრეტულ უნარზე, იქნება ეს რიცხვებთან ურთიერთობა თუ სიტყვებთან, ასევე უნდა ვიფიქროთ დროის მენეჯმენტის უნარზე, როგორ გავანაწილოთ სამუშაო დრო და სამი საათის და 10 წუთის განმავლობაში განუწყვეტლივ, სერიოზულად ვიყოთ ჩართული ტესტის შესრულების პროცესში. ეს არ არის ადვილი. ამით არის განპირობებული, რომ აბიტურიენტებს, სავალდებულო გამოცდებიდან, ყველაზე რთულად სწორედ უნარების გამოცდა ეჩვენებათ. ეს არის ძალიან ინტენსიურად მუშაობის გამოცდა. თუკი, მაგალითად, ქართულის გამოცდაზე გვაქვს საშუალება დავწეროთ თხზულება, ვიფიქროთ, მერე წავიკითხოთ, გადავათეთროთ, შევცვალოთ და ა.შ., უნარების ტესტი ამის საშუალებას ნაკლებად გვაძლევს, გვაიძულებს ინტენსიურად ვიფიქროთ, ვამუშაოთ ტვინი სამი საათის განმავლობაში, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, მიჩვეულები არ ვართ, მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე კლასში დიდი რაოდენობის ინფორმაციას სწრაფად უნდა ვამუშავებდეთ. ამ მიმართულებითაც შეიძლება მუშაობა. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ინტენსიურად ფიქრი ახალ-ახალ პრობლემაზე, უნარების გამოცდაზე 80 საკითხი გვაქვს – 80 სხვადასხვა პრობლემა და 80-ივეს სამ საათსა და 10 წუთში უნდა გავუმკლავდეთ. ამიტომ არის უნარების გამოცდა ცოტა სტრესული, თუმცა, ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში სწავლისთვის – სწრაფად, სხარტად და ინტენსიური მუშაობის პირობებში შევძლოთ ინფორმაციის დამუშავება და პრობლემების გადაჭრა. ეს, ზოგადად, სამყაროსთან ურთიერთობაშიც ძალიან გვეხმარება.

ვერბალური ნაწილი

ვერბალურ ნაწილთან უფრო რთულად გვაქვს საქმე, იმიტომ რომ, მისი მიზანია, შეამოწმოს ჩვენი უნარი შეგვიძლია თუ არა სიტყვიერად წარმოდგენილი ინფორმაცია გავიაზროთ და დავამუშაოთ. რას ნიშნავს ეს? უნდა გვქონდეს კარგი ვერბალური კომპეტენცია, უნდა ვიყოთ ვერბალურად ძალიან მოქნილები, ჩვენი ლექსიკური მარაგი უნდა იყოს შედარებით მდიდარი, უნდა შეგვეძლოს ერთგვერდიანი ტექსტის სწრაფად წაკითხვა და იქ ძირითადის და მეორეხარისხოვნის ერთმანეთისგან გარჩევა, ტექსტის სტრუქტურის და მიმართებების დანახვა

ერთიანი ეროვნული გამოცდები

სიტყვებს შორის, ასევე, წინადადების ნაწილებს შორის მიმართებების დანახვა, დაპირისპირების და შესაბამისობის ამოცნობა. ყველაფერი ეს ვერბალურად მოქნილობის ნიმუშებია.

თუკი მათემატიკის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაღაც კონკრეტული მასალა გვაქვს, რომელიც არ ვიცით და შეგვიძლია ვისწავლოთ, ვერბალურ ნაწილში ეს ასე არ არის. ვერბალურ კომპეტენციას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიძენთ. ყველა იმ ქვეყანაში, სადაც უნარების ტესტი არის, პირველი და მთავარი რეკომენდაცია, ვერბალური ნაწილისთვის მოსამზადებლად, არის ბევრი კითხვა – კითხვა, კითხვა, კითხვა... უნდა ვიყოთ ნაკითხი, წიგნიერი ადამიანები.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რეპეტიტორი მიმართავს ასეთ პრაქტიკას – ლექსიკონებიდან, როგორც უცხო სიტყვებს, ისე ასწავლიან და აზეპირებინებენ აბიტურიენტებს ქართულ სიტყვებს ან იმ უცხო სიტყვებს, რომლებსაც ვდებთ ტესტში, რომლებიც მოცემულია ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში, სახელმძღვანელოებში; რვეულში აქმნევინებენ ლექსიკონებს და ეს სიტყვები უნდა იცოდნენ ზეპირად, მაგალითად, რას ნიშნავს „ინტერაქცია“. ეს ძალიან არასწორი მიდგომაა იმიტომ, რომ სიტყვას არაერთი მნიშვნელობა აქვს. თითოეულ სიტყვას მნიშვნელობების მთელი შლეიფი, შეიძლება ასე ვთქვათ, მოჰყვება და თუ ადამიანს ეს სიტყვა რამდენჯერმე სხვადასხვა კონტექსტში წაკითხული და გააზრებული არ აქვს, ძალიან რთულია, გამოცდაზე უცებ გაიხსენოს, რას ნიშნავს და სწორად შეასრულოს ესა თუ ის დავალება.

თუკი აღმოვაჩენთ, რომ ვერბალურ ნაწილში გვაქვს პრობლემა, ზუსტად ვნახოთ, რა ტიპისაა ის. თუ გვაქვს პრობლება ანალოგიებში – ჩვენი სიტყვიერი მარაგი, ლექსიკური მარაგი არ არის საკმაოდ მდიდარი, აქაც ერთადერთი ინსტრუქცია არის კითხვა და კითხვა. უნდა ვიცოდეთ, რომ ერთგვერდიანი ტექსტის წაკითხვა არ არის მაღალი მოთხოვნა ადამიანისთვის, რომელსაც უნდა, რომ სტუდენტი გახდეს. მას ერთი კი არა, შეიძლება სამასი გვერდი ჰქონდეს წასაკითხი ერთი კვირის განმავლობაში.

თუ აღმოვაჩენთ, რომ დეფიციტი გვაქვს წინადადებების შევსების ნაწილში, დავალებებს სწრაფად და ეფექტურად ვერ ვასრულებთ, კარგად გავყვეთ ამოხსნის პრინციპებს (ამის ნიმუში მოცემულია ჩვენს კრებულში) და მივხვდებით, თუკი დავუთმობთ წინადადებების შევსებას საკმარის დროს, აუცილებლად შევასრულებთ დავალებებს. ამ ტიპის დავალებებში შეცდომას იწვევს სისწრაფე – მოგვეჩვენება, რომ პირველივე ან მეორე პასუხი სწორია და სწრაფად ვიღებთ გადაწყვეტილებას. უნდა ვისწავლოთ, როგორ გავაანალიზოთ კარგად დავალება, როგორ წავიკითხოთ სწორად და როგორ დავუთმოთ სათანადო დრო. აი, ეს არის ის, რაც წინადადების შევსების დავალებასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ.

ლოგიკას რაც შეეხება, ჩვენს კრებულში მოცემულია რეკომენდაციები, რა პრინციპებით უნდა მივუდგეთ ლოგიკის დავალებებს. ეს არის მხოლოდ რეკომენდაციები. მთელი ჩვენი ჯგუფი წინააღმდეგია იმისა, რომ მზა რეცეპტები და ინსტრუქციები მივცეთ – მაინცდამაინც ასე უნდა გააკეთო, ასეთი დიაგრამა უნდა დახატო ან ასეთი ცხრილი შადგინო, ეს შეცდომაა. როგორც მათთვის იქნება მისაღები და მოსახერხებელი, ისე უნდა გააკეთონ. ყველას თავისი მეთოდი აქვს ფიქრის და თუკი ისინი ამ მეთოდებით შედეგს აღწევენ, არ გვინდა, მათ თავს მოვახვიოთ ჩვენი გზები. უბრალოდ, ვისაც აქვს განცდა, რომ ვერ არის წარმატებული, შეუძლია გაეცნოს ამ ყველაფერს და ეგებ, მისთვის წარმოდგენილთაგან ერთ-ერთი ხერხი მისაღები იყოს.

ლოგიკაშიც, ასევე, დავალებებისა და ინსტრუქციის შესრულების პრინციპების კარგად გაცნობით, ნამდვილად შეგვიძლია გავიუმჯობესოთ შედეგი, მივხვდეთ, როგორ მივუდგეთ ამ დავალებებს.

დაბოლოს, ისევ გავიმეორებ, წიგნიერებაა ის, რაც ზოგადი უნარების ტესტში ძალიან ფასობს და თუ ბევრს წავიკითხავთ, ეს აუცილებლად დაგვიფასდება წლის ბოლოს.

რეკომენდაცია მშობლებს

პირველი და მთავარი, რაც უნდა ვაკეთოთ, არის ის, რომ ძალიან ბევრი დრო უნდა დავუთმოთ ჩვენი შვილების წიგნიერების ამაღლებას. უნდა ვუკითხოთ ბევრი, შევუძინოთ რაც შეიძლება ბევრი წიგნი (არ ვიცი ეკონომიკურად, სოციალურად რამდენად სწორად ჟღერს ის, რასაც ახლა ვამბობ, მაგრამ კარგი იქნება ასე თუ გავაკეთებთ), ფერადი, მრავალფეროვანი, საინტერესო, სხვადასხვა თემატიკის და ყოველთვის ვეცადოთ, ვაფიქროთ ამ ყველაფერზე შეკითხვებით – რატომ არის ეს ამ ფერის, რა არის ეს, რატომ არის, რას აკეთებს. ეს ხელს შეუწყობს მეტყველების, მეხსიერების, აზროვნების განვითარებას. ბავშვებს არ უნდა ეშინოდეთ შეკითხვის დასმის, არასწორი აზრის გამოთქმის. ყოველთვის შეიძლება მათ აზრებში რაღაც საინტერესო დავინახოთ და ვუთხრათ – რა საინტერესოა, თუნდაც მცდარი აზრი გვითხრან. ჩვენი ხედვაც მივანოდოთ, მაგრამ არ უნდა მოვახვიოთ თავს, რომ ეს ასეა, მაგალითად, სპილო აუცილებლად ნაცრისფერია, შეიძლება მას ცისფრის დახატვა მოუნდეს და ეს ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს. ინსტრუქციების დამახსოვრებით – აუცილებლად ასე გააკეთე და არა სხვაგვარად – უნარების განვითარებას ვერ მივაღწევთ. უნარებს განვავითარებთ, თუკი მაქსიმალურად მივცემთ თავისუფლებას აზროვნებაში, ფიქრში, მეტყველებაში. თუკი მივცემთ ამისთვის საკმარის სასტიმულო მასალას – ზღაპარი, ლექსი, მოთხრობა, საბავშვო ფილმი, მათთან ერთად სეირნობა, ზოოპარკში იქნება ეს თუ უბრალოდ პარკში და რაც მთავარია, სულ მათთან ლაპარაკი, როგორც დიდ ადამიანთან, შეკითხვების დასმა, მათი აზრის მოსმენა და გაზიარება, კომენტარი და წახალისება – ამგვარი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის, კონკრეტულად კი – უნარების განვითარებისთვის.

რადიო იმედის გადაცემის –
„გამოცდეგიდან გამოცდეგამდე“
თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად მიხედვით
მოამზადა ლალი თვალაგეიშვილმა

გამოცდილება

სამშობლოს სიყვარული ბავშვობიდან იწყება

გაკვეთილის თემა – „ტყე და მისი მნიშვნელობა“
გაკვეთილის მიზანი:
I. თეორიული მასალის პრაქტიკულთან მაქსიმალურად მიახლოება;
II. ზრუნვა მშობლიურ გარემოზე გლობალიზაციის პირობებში;
III. საუბარი საქართველოს დემოგრაფიასა და ყოველდღიურობაზე.

გაკვეთილი უნდა ჩატარდეს ღია ცის ქვეშ, ე.წ. „გეოგრაფიულ კუთხეში“, რომელიც მდებარეობს სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ამიტომ გაკვეთილს ლექციური ხასიათი ეძლევა და მთელი 45 წუთი გადაადგილებას, თითოეული ხის ძირში მისვლას და ახსნა-განმარტებას ეთმობა. მოსწავლეებმა პრაქტიკულად უნდა ნახონ ორმოცდაათამდე სხვადასხვა ჯიშის ხე და ბუჩქი, მათ შორის საქართველოს „წითელ წიგნში“ შესული უთხოვარი (ურთხელი, წითელი ხე) და ისეთი უნიკალური ჯიშის ხეები, როგორიცაა: მუხა, ცაცხვი, თელა, წიფელა, რცხილა, წაბლი, აკაცია, კოპიტი, თხმელა, ჯაგრცხილა, სამნაირი ნეკერჩხალი, ვერხვი, ალვის ხე, არყის ხე, თამელი, ტირიფი; წიწვიანები: წითელი ხე, ფიჭვი, სოჭი, ნაძვი, ჭყორი; ბუჩქები: ძახველი, კუნელი, ასკილი, ზღმარტლი, მოცვი, მთის შავი ხილი, ჟოლო, მაყვალი, მოცხარი, მთის თამელი; არამსხმოიარე ბუჩქები: მთის და ბარის შქერი (დეკა), წყავი, ბაძგი, ბარდი, ბარდი მცოცავი, საერო, კონახური, მდგნალა, იელი, შვინდლარნა, ქაცვი, თხილი, ბზა.

აღმართზე გზის მშენებლებს, ღრმა ჭრილის ფონზე, თვალსაჩინოდ გაეშიშვლებინათ ნახევარტონიანი ქვის ლოდი, ფაქტობრივად, ჰაერში ჩამოკიდებული, რცხილის ფესვები რომ არ ამაგრებდეს, ძირს ჩამოვარდებოდა. ამ სურათის ნახვით მოსწავლეებისთვის ნათელი გახდა ხეებისა და მცენარეების ფესვთა სისტემის როლი, როგორც ნიადაგის დამცავი ჩამოშლა-ჩამორეცხვისგან, განსაკუთრებით სვანეთის ციცაბო ფერდობებისათვის.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსწავლეებისთვის ნათელი გახდა, რომ: ჟანგბადს ყველაზე დიდი რაოდენობით გამოყოფენ: ალვის ხე, მუხა, ცაცხვი. თელას ფოთოლი, ხორკლიანი ზედაპირის გამო, მტვერს ყველაზე დიდი რაოდენობით იკრობს და ანეიტრალებს; მანქანების გამონაბოლქვს აკაციის ფოთოლი შთანთქავს ყველაზე დიდი რაოდენობით. მართალია, წიწვიანი ხეები ნაკლებ ჟანგბადს გამოყოფენ, მაგრამ დიდი რაოდენობით გამოყოფენ ფიტონციდებს, რომელთა მნიშვნელობა რიცხვებით შემდეგნაირად გამოიხატება: თუ დიდ ქალაქში 1მ3 ჰაერში, დაახლოებით, 60000 ბაქტერიაა, ტყეში მათი რაოდენობა 1მ3-ში, ფიტონციდების გამო, მხოლოდ 300-ია. ღვიის 1 ჰაკორომი გამოყოფს 30კგ. ფიტონციდებს, რაც სრულიად საკმარისია პატარა ქალაქის ჰაერის სტერილიზაციისათვის; მუხის და ალვის ხის ფოთლები ანადგურებს დიზენტერიის და მუცლის ტიფის, ხოლო სოჭის წიწვები დიფტერიის გამომწვევ მიკროორგანიზმებს.

ღია ცის ქვეშ პრაქტიკულად ნანახს თეორიულად ვაღრმავებთ საკლასო ოთახში დაბრუნების შემდეგ. მოსწავლეს უნდა შეეძლოს ნებისმიერი ხის ცნობა ფოთლის თუ ხის კანის მიხედვით, ასევე უნდა იცნობდეს თითოეულის უნიკალურ თვისებებს. სასურველია, მოსწავლეებს ხეების გასაცნობად სათანადო დრო შევურჩიოთ – გავაცნოთ ისინი წელიწადის საუკეთესო დროს. სკოლიდან ასი მეტრით დაშორებული ეკლესიის ეზოში დგას ზრდასრული ცაცხვის ხე, რომელსაც ყვავილობის პერიოდში უთვალავი ფუტკარი ეხვევა, ირგვლივ იფრქვევა სასიამოვნო სურნელი. ყვავილი სამკურნალო თვისებისაა, რომელიც ისე უნდა გამოშრეს, რომ მზის სხივი არ მოხვდეს. ცაცხვის ყვავილი ხეზე რჩება ფოთოლცვენის შემდეგაც, თებერვალ-მარტამდე. მოყვითალო ფერის გამო ცაცხვის გამორჩევა სხვა ხეებისგან ერთ კილომეტრშია შესაძლებელი.

ბუნების ქომაგი ადამიანები, ისეთ ხეებსაც რგავენ, ნაყოფს რომ არ იძლევა. მაგალითად, კოპიტი ნაყოფს არ იძლევა, მაგრამ ფოთლების განლაგების და მოცულობის გამო, მზის სხივებს და სინათლეს ისე ანაწილებს, რომ მასზე გაშვებული „ადესა“ ყურძენი, ყორნის ფრთასავით შავია და უგემრიელესი. კოპიტის ხე საუკეთესო მასალაა სათხილამურო სპორტისთვის და საპარკეტედ.

დავუბრუნდეთ ისევ ცაცხვს, რომლის ყვავილს პატარა ნასკვი აქვს, ორ ფრთას მიმსგავსებული ფურცელი, ეს მისი „პარაშუტია“, რომლის მეშვეობითაც გაზაფხულზე, ქარი რომ დაუბერავს, გაფრინდება და სათანადო ადგილი რომ შეხვდება, გაღივდება, აღმოცენდება, „დავაჟკაცდება“ და „განიერი მხარბეჭით“ დაამშვენებს ტყეს, საუკუნეების განმავლობაში მრავალ სიკეთეს მოუტანს ადამიანს. რაც მთავარია, ცაცხვი „ზრუნავს“ საკუთარ შთამომავლობაზე, გამრავლებასა და გაძლიერებაზე, რათა ცაცხვის ტყე არ გამეჩხერდეს. როგორ არ ჰგავს იმ ქართველ კაცს, რომელიც ტოვებს საქართველოს და საცხოვრებლად მიდის უცხო ქვეყანაში, რითაც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფისაკენ მიჰყავს. თუ ასე გაგრძელდა, იქმნება საშიშროება საქართველოს მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობისა, იმ საქართველოსი, რომელმაც, ტერიტორიის და ხალხის სიმცირის მიუხედავად, დღემდე მოაღწია, რომელმაც კაცობრიობის განვითარების ყველა სტადია და ფორმაცია – ქვის ხანიდან კოსმოსის ათვისებამდე – თანმიმდევრობით გაიარა. დღეს, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ყველგან შეხვდებით გარემოს დაცვით დაინტერესებულ ადამიანებს, რომლებიც აღშფოთებას გამოხატავენ ტყის უსისტემო ჭრის გამო. ასეა საქართველოშიც. აღმაშფოთებელია სვანეთის ტყეების მდგომარეობა, რომელთა ექსპლუატაცია არავითარ კანონს არ ემორჩილება.

სვანი კაცისათვის ყოველთვის ღირებული და შეუცვლელი იყო ტყე. არყის ხის შესახებ ლეგენდაც კი შეიქმნა, რომლის მიხედვითაც თითქოს ქრისტე ღმერთმა, დასაჭერად რომ მისდევდნენ, ვერხვს მიაშურა თავის შესაფარებლად, მაგრამ მას შეეშინდა მდევრების, აკანკალდა და ფოთლები აუთრთოლდა. მას შემდეგ, როგორი მშვიდი და უქარო ამინდიც უნდა იყოს, ვერხვს ფოთლები უთრთის და უკანკალებს. მერე ქრისტე ღმერთმა არყის ხეს მიაშურა, რომელმაც გულმოწყალედ ტოტები დაბლა დახარა ისე, რომ ღმერთი მდევრებს არ შეემჩნიათ. ამიტომ სვანები არყის ხეს *„ღერთემ ნამზურ მეგემს“* ეძახიან, რაც ღმერთის მიერ დალოცვილ ხეს ნიშნავს. შემთხვევითი არაა, რომ ფარმაკოლოგიაში არყის ხის წვენი და კვირტი ფართოდაა გამოყენებული.

საუბარს ქართველი კაცის მიწისადმი დამოკიდებულების შესახებ ვაგრძელებ და ვუხსნი, რომ ეს დამოკიდებულება უხსოვარი დროიდან მოდის – ქართველი მიჯაჭვული იყო იმ მიწას, რომელსაც ამუშავებდა, მოჰყავდა სარჩო-საბადებელი, რომელზეც რგავდა კაკლის ხეს, თუთას, სხვადასხვა ჯიშის ვაზს, არა მარტო სასარგებლო მცენარეებს აშენებდა და უვლიდა, არამედ სილამაზისთვის სხვადასხვა დეკორატიულ ხე-მცენარეებსაც რგავდა. ბუნების სიჯანსაღისთვის ქართველმა კაცმა ავსტრალიიდან ჩამოიტანა ევკალიპტის ხის ჯიში, აშშ-დან ხეთა შორის საოცრება – გიგანტი სექვოია, რომლის სიმაღლე 120 მეტრს აღწევს, ხოლო ასაკი – ოთხი ათას წელს. ასეთი შემთხვევაც იყო, რკინიგზის გაყვანისას, მისი დიდი დიამეტრის გამო, არჩიეს შიგ გაეყვანათ გვირაბი.

სამშობლოს სიყვარული ბავშვობიდან იწყება, თუნდაც, აყვავებულ ცაცხვის ხეს შესეული ფუტკრის ზუზუნის მოსმენით, აყვავებულ ვაშლის ხეს თუ ვაზს, ტანსრულ აქოჩრილ სიმინდის ყანას რომ თანაბრად ეწაფება.

მშობლიურ მიწასთან ყოველდღიური ურთიერთობისა და სიყვარულის გამო უწოდეს ძველმა ბერძნებმა საქართველოს *„გეორგია“*, თუმცა, საკითხავია საქართველოს მათ უწოდეს გეორგია თუ ქართულიდან თარგმნეს (*„გეო“* ბერძნულად – მიწა), საქართველოს ძველი სახელია *„ივერია“*, ფუძე *ი-ვერ-ია, ვერ* სვანურ-ქართულად მიწას ნიშნავს. ამიტომ მიმაჩნია, რომ სწორედ ქართულიდან არის ნათარგმნი „გეორგია“; იგივე მოსაზრებისა ვარ სიტყვა *„დიოსკურიაზე“*, რომელიც ასევე სვანურ-ქართული წარმოშობისა მგონია. ბერძნული *„დია-სგურ“* სვანურად ნიშნავს *„დედა ზის“*. მატრიარქატის ეპოქაში დედაკაცი უძღვებოდა ოჯახსაც, ნათესაობასაც და გვარიც დედის ხაზით გადაეცემოდა – *„ჩვადი დია-სგურ ეითე, ქაგვექეს იმჟი გვარ ლეჩემ“* ნიშნავს – *„ჩადი, დედა რომ ზის, იქ, გვითხრას როგორ მოვიქცეთ“*; მოსწავლეებს ისტორიიდან იმასაც ვახსენებ, როგორ ანადგურებდნენ შუა საუკუნეებში საქართველოს ბაღ-ვენახებს, ყანებს თუ ველმინდვრებს თურქ-სელჩუკები, როგორ აჩანაგებდნენ ირგვლივ ყველაფერს, თავად თურქეთში კი, ცაცხვი რომ აყვავდება, ყვავილს ისე კრეფენ, როგორც ჩვენ ვაშლს, მსხალს, ატამს, ალუჩას. ჩვენთან კი, სვანეთის ტყეებში, უსისტემოდ იჭრება ცაცხვი, წაბლი, მუხა და სხვა უნიკალური ჯიშის ხეები.

მწარედ დამაფიქრებელი ფაქტია, რომ დღეს სოფლები ნელნელა იცლება, გლეხი და მიწა დაშორდა ერთმანეთს. მინდა, მოსწავლეებმა მძაფრად შეიგრძნონ ეს და სკოლის მერხიდან ისწავლონ სამშობლო მიწისადმი, ბუნებისადმი სიყვარული, ყველაფრისადმი ყაირათიანი მოპყრობა, შრომის და მშრომელის პატივისცემა, განერიდონ სიხარბეს და ნუ გააგიჟებთ ფული, რომელიც ზოგიერთს ავიწყებს, რომ ადამიანია ადამიანებს შორის.

კითხვები ახალი მასალის განმტკიცებისათვის:

1. რატომ იზრდება ნებისმიერი ხე სიმაღლეში განსხვავებულად?
2. რით განსხვავდება მუხის, წიფლის, წითელი ხის, ციმბირული რარიქსის მორი სხვა ჯიშის ხის მორებისგან?
3. სად არის ევკალიპტის და სექვოიას სამშობლო?
4. სად ხარობს ხე „კებრაჩო“ და რას ნიშნავს „კებრაჩო“?
5. რომელი ხე გამოჰყოფს ჟანგბადს ყველაზე დიდი რაოდენობით?
6. რომელი ხის ფოთოლი იკრობს და ანეიტრალებს მტვერს ყველაზე მეტად?
7. ჩამოთვალეთ ცაცხვის დადებითი თვისებები და მისდამი დამოკიდებულება თურქეთსა და საქართველოში.
8. რაში მდგომარეობს ფიტონციდების არსი და რომელი ჯიშის ხეები გამოყოფენ მას დიდი რაოდენობით?
9. რომელი ხის ფოთოლი შთანთქავს მანქანების გამონაბოლქვს ყველაზე მეტად?
10. რომელი ხის ფოთლები ანადგურებს დიზენტერიის და მუცლის ტიფის მიკროორგანიზმებს? რომელი ხის წიწვები ანადგურებს დიფტერიის გამომწვევ ბაქტერიებს?
11. რას ნიშნავს „წითელი წიგნი“ და რისთვის არის საჭირო?
12. საიდან მოდის „ძახველის“ სახელი?

აკაკი ზუმაძე
მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის
საჯარო სკოლის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი

პროფესია პედაგოგი

დღეს წარმატებული მასწავლებელი, საკლასო ოთახის გარდა, არსად ჩანს

რუბრიკა წარმოგიდგენთ სამუსიკო სემინარიასთან არსებული კერძო სკოლის „ჩვენი სკოლა“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს – ზაქარია ქიტიაშვილს.

ის, სტუდენტობიდან დღემდე, სკოლის დაწყებით კლასს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მიუხედავად იმისა, რომ 19 წლიდან მასწავლებელია, პედაგოგობა მისთვის არასოდეს ყოფილა თვითმიზანი, ამბობს, იმდენად მოსწონს ამ საქმის კეთება, რომ სკოლის დატოვება ვერ შეძლო, მისი საქმიანობა უნივერსიტეტშიც სწორედ ამ მიმართულებით გაგრძელდა. მასთან ინტერვიუ საუკეთესოდ წარმოაჩენს თანამედროვე ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც იმითაც გამორჩეულია, რომ დაწყებით კლასში მამაკაცი მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელია.

როგორ აღმოჩნდა სკოლაში

ჩემთვის პედაგოგობა ნამდვილად არ ყოფილა თვითმიზანი. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და წარმატებულ სტუდენტად ვითვლებოდი. ერთ-ერთი გერმანული სკოლიდან დეკანს დაურეკეს და სთხოვეს, შეერჩია სტუდენტი და გაეგზავნა მათთვის, რომელიც ერთ-ერთ მასწავლებელს (იგი დეკრეტულ შვებულებაში გადიოდა) ჩაანაცვლებდა. დეკანის მოადგილემ მე შემომთავაზა და ასე აღმოვჩნდი, ძალიან ახალგაზრდა, სკოლაში დაწყებით საფეხურზე ქართულის მასწავლებლად. ვერ გეტყვით, რომ ბავშვობიდან ვოცნებობდი სამასწავლებლოში ჟურნალით ხელში დგომას, მაგრამ, დაახლოებით, ორ-სამ გაკვეთილში მივხვდი, ეს ის არის, რაც მე მინდა რომ ვაკეთო.

ძალიან რთული გადაწყვეტილება მიიღეს – 19 წლის სტუდენტი შემიშვეს მესამეკლასელებთან. ორი-სამი გაკვეთილი დამჭირდა, რომ მათი ასაკის შესაბამისი ლექსიკით მესაუბრა. ნელ-ნელა ყველაფერი გავარკვიე და მივხვდი, რომ ძალიან მომწონდა ამ საქმის კეთება. ალბათ, მაინც ბავშვებთან ურთიერთობა განაპირობებს იმ ნაპერწკალს, რასაც მასწავლებლობა გაძლევს. და ამის შემდეგ, 2004 წლიდან დღემდე, უწყვეტ რეჟიმში, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი როგორც დაწყებით, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე.

მაგისტრატურაში სწავლა ქართულის სწავლების მეთოდიკის მიმართულებით გავაგრძელე. დავამთავრე თუ არა, მაშინვე მომცეს სემინარები უნივერსიტეტში, ქართულის სწავლების მეთოდიკაში. შემდეგ დოქტორანტურაშიც ჩავაბარე და, 2007 წლიდან, ასევე, უწყვეტი სტაჟი მაქვს უნივერსიტეტში პედაგოგიკური ციკლის საგნების სწავლების.

ვინ ირჩევს პედაგოგიკის სპეციალობას

დღეს სამი ტიპის მოტივი არსებობს, რის გამოც ახალგაზრდები სწავლობენ პედაგოგიკის მიმართულებით. ერთი – მოდიან ის ადამიანები, რომლებსაც, უბრალოდ, უნდათ მასწავლებლობა. როგორც წესი, ამას ხშირად ოჯახი განაპირობებს – მასწავლებელი დედა ან ბებია და პროფესიას ტრადიციასავით აგრძელებენ, ან, უბრალოდ, მოსწონთ ეს პროფესია. მეორე კატეგორიას ის ახალგაზრდები განეკუთვნებიან, რომლებიც მოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსდება პედაგოგიური ციკლის მიმართულებები. მაგალითად, დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამების კატეგორიაში გადის. სამწუხაროდ, 20-30 პროცენტია, რომლებიც პროფესიის სიყვარულით კი არა, უფასო დიპლომის ასაღებად აბარებენ ამ სპეციალობაზე. და მესამე კატეგორია – ადამიანები, რომლებზეც პიროვნული ფაქტორი ახდენს გავლენას. მაგალითად, მათი გადაწყვეტილება, გარკვეულწილად, ლექტორის ფაქტორს უკავშირდება, სწორედ მის გამო ხდება პედაგოგობა მომხიბვლელი პროფესია. ხშირად მაინორ, დამატებითი პროგრამის დამსახურებაა ახალგაზრდების ამ მიმართულებით წაყვანა. სხვათა შორის, პედაგოგიკის მიმართულების ხელმძღვანელს, ქეთევან ჭკუასელს, აქვს ასეთი პოლიტიკა – მაინორში ლექტორებად, შეგნებულად, ახალგაზრდა კადრებს გვიშვებს, რომ სტუდენტების „წამოყვანა“ ვცადოთ ამ პროფესიაში. ვფიქრობ, ეს სწორი სტრატეგიაა და ამიტომაც ამართლებს კიდეც – ხშირად ჩვენთან, მასწავლებლის პროფესიაში, სწორედ ის ადამიანები მოდიან, რომლებსაც მაინორ პროგრამაში შეხვდათ პედაგოგიკის ციკლის საგნები და მოეწონათ ეს პროფესია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება მიიღეს.

ჩემი პირველი გაკვეთილი

ზეპირად მახსოვს ჩემი პირველი გაკვეთილი: *„მე სოფლის თავსა ვესახლე, არა სოფელი ჩემს თავსა, სოფელი კარგად მგუობდა, მე რომ სოფელი მეთავსა, რაც მე სოფლისთვის ვინდომე, წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა“.* ეს იყო პირველი გაკვეთილი, რომლის ჩატარებაც მომიწია მესამეკლასელებთან, მაშინ 19 წლის სტუდენტი ვიყავი. გაკვეთილზე ზედმეტად მომზადებული და ნამეცადინები შევედი. დავიწყე გაკვეთილის ახსნა, გავყევი ფილოსოფიურ კატეგორიებს და ვხედავ, ბავშვები პირდაღებული მიყურებენ, მე მაინც ვაგრძელებ და ვაგრძელებ. რა თქმა უნდა, პატარები ვერ მომყვებოდნენ, რადგან არც მათი ცოდნა და არც სამყაროს შეცნობის უნარები, ამ ასაკში, არ არის ისე განვითარებული, რომ ასეთ მაღალფარდოვან ლექსიკასა და განყენებულ აზროვნებას მისწვდნენ. მოკლედ, დრო დამჭირდა, რომ ჩემი ლექსიკა, ფიქრი და ახსნის მანერა მათი ასაკისთვის მომერგო. ეს პროცესი ერთი თვე მაინც გაგრძელდა თუ მეტი არა. შემდეგ ყველაფერი ძალიან კარგად წავიდა.

მამაკაცი მასწავლებელი – ქართული სკოლის სერიოზული პროგლემა

განათლების სამინისტროში მასწავლებლების შეხვედრაზე ვიყავი – ვხედავ, 42 ქალი ზის და, სადღაც ბოლოში, მხოლოდ სამი კაცი. კაცი მასწავლებელი მართლაც დეფიციტია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ოჯახს ვეღარ არჩენენ იმ ჯამაგირით, რასაც მასწავლებელი იღებს. დამეთანხმებით, რეალურად შეუძლებელია ასეთი ხელფასით ოჯახის რჩენა. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამაზე, მამაკაცი უნდა შეიყვანოს სკოლაში არა მხოლოდ ფიზიკულტურის მასწავლებლად ან დურგლად. ეს აუცილებელია, სხვა ურთიერთობები ყალიბდება. ისე როგორც ოჯახშია თანაბრად მნიშვნელოვანი და საჭირო დედის და მამის ურთიერთობა შვილებთან, ასეა სკოლაშიც. ეს სწორედ ბავშვების ღირებულებებისა და ხედვების ჩამოსაყალიბებლადაა საჭირო. არ შეიძლება, სკოლაში, გაკვეთილზე მხოლოდ ქალის ხმა ისმოდეს, ამით ზოგადი განათლება აგებს.

როგორ მოვიზიდოთ სკოლაში ახალგაზრდა მამაკაცები

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ანაზღაურებით. ჩემი აზრით, სკოლებს უნდა მიეცეს მეტი თავისუფლება, თანხები საჭიროებისამებრ განკარგონ. სკოლის დირექტორებს უნდა მიეცეთ უფლება, თანხა ისე გადაანაწილონ, როგორც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ, რომ სკოლა განვითარდეს. მაგალითად, თუკი მიიჩნევს, რომ სკოლაში აუცილებლად სჭირდება მასწავლებელი – პეტრე, რომელსაც უნდა გადაუხადოს განაკვეთით დადგენილ ხელფასზე მეტი, მას ამის უფლება უნდა ჰქონდეს. სკოლებს სჭირდება პროფესიონალი კადრების მოზიდვა, მათ შორის, მამაკაცი მასწავლებლების. მიდგომას უნდა მოერგოს პოლიტიკა – გჭირდება ახალგაზრდა კადრი? გინდა, რომ მოიყვანო ის სკოლაში? გადაუხადე ღირსეული საზღაური და დააინტერესე. ჯერ ერთი, სკოლაში სტუდენტების მოყვანა უნივერსიტეტებიდან სკოლის საუკეთესო კადრებით შევსების არაჩვეულებრივი საშუალებაა. სკოლები ვაკანსიებს რომ აცხადებენ, ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მითითებულია, რომ მსურველს ჰქონდეს მუშაობის სტაჟი. გეკითხებით, სად უნდა მოაგროვოს დამწყებმა მასწავლებელმა ეს სტაჟი? არადა, ახალგაზრდა კადრის გაზრდა იმ ღირებულებებით, როგორითაც გინდა, როგორითაც შენი სკოლის ორგანიზაციული კულტურისათვისაა დამახასიათებელი, გაცილებით მომგებიანია დირექტორისთვის, ვიდრე, თუნდაც, არასტერეოტიპულად მოაზროვნე პროფესიონალი, მაგრამ ჩამოყალიბებული, 10-15-წლიანი სტაჟის მქონე მასწავლებლის აყვანა, რომელიც ასე ხედავს, ასე ასწავლის და მორჩა. ახალგაზრდა კადრს კი სწორედ ისე გაზრდი, როგორც შენი სკოლის სოციოკულტურას, ორგანიზაციულ კულტურას სჭირდება. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამაა. აი, ეს თავისუფლება უნდა დაუტოვონ დირექტორს და სკოლას და არა ის, რომ 20 წლის ახალგაზრდას მკაცრად მოსთხოვონ სერტიფიცირება, რომელიც, თავისთავად ცხადია, არ აქვს გავლილი ან როდის უნდა მოესწრო? ჩემი აზრით, გამოსავალია – მიიღე, ენდე და მერე მოსთხოვე.

სერტიფიცირების პროცესის შედეგები

ვფიქრობ, დამოკიდებულება არასწორია – მტკივნეულად აღვიქვამთ სერტიფიცირების პროცესს, უფრო სწორად, საგნობრივ გამოცდებს. რატომ არ ვსვამთ კითხვას – ბევრი პროფესიონალი ინჟინერი, დურგალი, პურის მცხობელი ან, თუნდაც, პოლიტიკოსი გვყავს? საერთოდ, ბევრი და კარგი ხშირია სამყაროში? უბრალოდ, მასწავლებლები დაკვირვების ობიექტებად ვაქციეთ და სწორედ ამიტომ მოხდა პედაგოგების პროფესიული კომპეტენციის ლუსტრაცია. გაოცებული და შეშფოთებული ვამბობთ: „ვაიმე, ვერ ჩააბარა“. დიახ, ვერ ჩააბარა და მართლაც ცუდი შედეგებია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ვისაც შეეძლო ჩაბარება, მათ 2010, 11, 12, 13 წლებში ჩააბარეს გამოცდები, დარჩა მასწავლებლების ის ნაწილი, ვისაც, ვთქვათ გაბედულად, ამ ეტაპზე არ ჰყოფნით შესაბამისი კვალიფიკაცია, მათ დახმარება სჭირდებათ და არა ხელის კვრა, დაცინვისა და ქილიკის ობიექტად ქცევა. ნებისმიერი დარგის სპეციალისტი რომ წარმოვიდგინოთ მათ ადგილას, ზუსტად იმავე სურათს მივიღებთ და იმავე შედეგებზე გავალთ. ვფიქრობ, იგივე შედეგი გვექნებოდა, წლების განმავლობაში, სსრკ-ს დროს, ამიტომ იქცეოდა ის სახელმწიფო ჭკვიანურად, ატარებდა პროფესიული დახელოვნების მიზნით მუდმივ საზაფხულო ლექციების ციკლს და მასზე დასწრებას სავალდებულოდ უხდიდა ყველა პედაგოგს. იგი, მასშტაბური საბჭოთა მანქანაც კი, მოერიდა ლუსტრაციას. ჩვენ, პირიქით, შევებით ისე, რომ წინ ვერ გავიხედეთ. არ შეგვეშინდა, გამოცდები ჩავატარეთ, მაგრამ მზად არ აღმოვჩნდით შედეგებისთვის.

როგორ გავაუმჯობესოთ შედეგები

მოქმედ მასწავლებლებს ამ ეტაპზე შევეშვათ, ბევრ მათგანს ვეღარ შევცვლით, დარჩენილ რაოდენობას კი ამინდის შეცვლა გაუჭირდება. მოდით, ვიფიქროთ, როგორ მოვიყვანოთ ახალგაზრდა კადრები სკოლაში. პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, გავზარდოთ პროფესიის მნიშვნელოვნება. დაახლოებით ისე, როგორც აფხაზეთს გვახსენებდნენ – „აფხაზეთი ჩვენია“ – ლოზუნგები, რეკლამები, სიმღერები და ტაშფანდური. ამაზე ხან მეცინებოდა კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ რაოდენობრივი გადადის თვისებრივში. რაც მუდმივად გესმის, მერე შენად იქცევა. პოპულარიზაცია სჭირდება ამ სფეროს – მასწავლებლობა მართლა მაგარი სპეციალობაა. მაგრამ, აბა, მითხარით წარმატებული მასწავლებელი სად არის? გინახავთ სადმე გამოჩენილ ადგილას? წარმატებულ სპორტსმენებს, ხელოვანებს ვხედავთ, მაგრამ მასწავლებლებს – არა. წარმატებული მასწავლებელი, საკლასო ოთახის გარდა, არსად ჩანს. მხოლოდ იმის დაპირება, რომ გამოცდაზე აღარ ჩაგჭრიან, საქმეს არ უშველის. ამით იმის თქმა მინდა, რომ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაა ძალიან მნიშვნელოვანი, მისი რეკლამირება სახელმწიფოს მიერ. ამაზე პასუხისმგებლობა, აუცილებლად, სახელმწიფომ უნდა აიღოს.

თუ მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟს აამაღლებ, მაშინ მაღალქულიანი სტუდენტი მოვა სასწავლებლად და არა ისეთი, ყველაფერი რომ მოილია და სხვა აღარაფერი დარჩა. აქ საქმე ძალიან მარტივადაა, მარკეტინგულად რომ შევხედოთ, ჩემი პროფესია ჩემ შემდგომ ცხოვრებაში ფულის დაბანდებაა და რაში ვაბანდებ ფულს? 300-400-ლარიან ხელფასში? ბოლოს მაინც, გინდა თუ არ გინდა, ეკონომიკასთან მიდიხარ.

პოლიტიკა და ხედვა მინისტრის წასვლა-მოსვლით არ უნდა იცვლებოდეს

ყველაფერს თავის სახელი უნდა დავარქვათ. სახელმწიფო მასწავლებლებს სკოლიდან ვერ გაუშვებს, როგორი ცუდი შედეგიც უნდა აჩვენონ მათ, რადგან სკოლა ცარიელი დარჩება, ქვეყანას ცვლა არ ჰყავს. ამიტომაც, მასწავლებლებს რაღაც ვალდებულებები უნდა გაუზარდოს სკოლამ. მაგალითად, საგნის გამოცდას ვერ აბარებ, მაშინ კეთილი ინებე და სხვა ვალდებულებაც აიღე, მაგ., დამატებითი წრის ვალდებულება, ვიდრე საგანს არ ჩააბარებ, ამით მაინც წაადექი სკოლას. სახელმწიფომ კი არ უნდა დამალოს, უნდა აღიაროს, რომ ჰყავს მასწავლებლები, რომლებიც საგნის გამოცდებს ვერ აბარებენ. ამის მწვავედ აღქმაც არ არის საჭირო, ბუნებაში არ არის ყველაფერი კარგი. ეს პროფესია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მიკროსკოპის ქვეშ მოექცა, თორემ სადაც კი გამოცდას ჩაატარებს, იმავე შედეგს მიიღებს სახელმწიფო ნებისმიერ სხვა პროფესიაში. უბრალოდ, სხვას არ უტარებს გამოცდებს.

პროფესია პედაგოგი

ამის აღიარება არ არის რთული, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა სახელმწიფომ აღიარა, რომ მას არ ჰყავს მენტორი – ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელი. ამიტომ, ისიც თქვას, რომ ჰყავს 30 პროცენტი მაღალი კატეგორიის და 70 პროცენტი დაბალი კატეგორიის მასწავლებელი. რეალობა ხომ ეს არის. უბრალოდ, ეს ფაქტი არ უნდა იქცეს დემაგოგიის საგნად. წლების განმავლობაში სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორის როლში გამოდიოდა და მხოლოდ თითის გაშვერის პოლიტიკით იყო დაკავებული. ის ტრენინგები, რომლებიც მის მიერ იყო ორგანიზებული, როგორც დრომ აჩვენა, არაეფექტური აღმოჩნდა. სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული მასწავლებლის პროფესიის განვითარებისადმი თანმიმდევრულობისა და სისტემურობის ხაზი. პოლიტიკა და ხედვა მინისტრის წასვლა-მოსვლით არ უნდა იცვლებოდეს. უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხების გადაჭრისას დიდი დოზით უნდა იყვნენ ჩართული აკადემიური წრეები, უნივერსიტეტები და არა ფორმალურად. ვფიქრობ, ამ პროცესის მართვის გენერალური ბერკეტი სახელმწიფოს ხელთაა, შესაბამისად, მასვე მოეკითხება პასუხი შედეგებზე.

კარგი მასწავლებლის პორტრეტი

არ არის კარგი, როცა მასწავლებელი რიტორიკით არის მართალი და საქციელით – განსხვავებული. თუ ის გაკვეთილზე ბავშვებს ეუბნება, რომ თავისუფლად იაზროვნონ, იქვე არ უნდა მიუთითებდეს, რომ მის მიერ ახსნილი არის მართებული და სწორი. ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა მისი მსჯელობა და ქმედება ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპიროა. თუ დიდაქტიკაში ხარ ასეთი და მიიჩნევ, რომ ასე უნდა აკეთოს მოსწავლემ, კეთილი ინებე და შენც ზუსტად ისე აკეთე. თუ ბავშვს ეუბნები, რომ წიგნი უნდა იკითხოს, აუცილებლად შენც უნდა იკითხო. მშობლებსაც ხშირად იმავეს ვეუბნები, სახლში დაღლილიც რომ მიხვიდეთ, თუნდაც 5 წუთი, ტელევიზორის საყურებლად რომ დაჯდებით, წიგნი აიღეთ ხელში და ბავშვებს აჩვენეთ, რომ კითხულობთ. სხვა შემთხვევაში, შენი რჩევა, რომ იკითხოს, არაფერს ნიშნავს. თვეში ერთხელ მაინც ელაპარაკე რომელიმე ნაწარმოებზე, წიგნზე. იმავეს ვურჩევ მასწავლებლებსაც. ხშირად არდადეგებიდან დაბრუნებულ ბავშვებს მასწავლებლები ეკითხებიან: აბა, რა წაიკითხეთ ზაფხულში? მოდი, იმით დაიწყე, შენ თვითონ რა წაიკითხე. მხოლოდ რეცეპტები არ მისცე, შენი ქმედებით დაანახე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ნულია.

რასაც მოსთხოვ ბავშვს, პირველ რიგში, შენ უნდა იყო მისი შემსრულებელი. უკრძალავ საღეჭი რეზინის ღეჭვას? კეთილი ინებე და არასოდეს დაღეჭო მის თვალწინ. შენ უნდა იყო მაგალითი. სიგარეტი რომ ცუდია და მისი მოწევა ვნებს ადამიანის ჯანმრთელობას, ამას ბავშვს ვერასოდეს გააგებინებ, თუკი შენ თვითონ ეწევი მისი თანდასწრებით. ჩემი აზრით, ეს ის ჭეშმარიტებებია, რომელსაც საკუთარი მაგალითით უნდა უჩვენებდეს მასწავლებელი. აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ შეწუხებული სახით გაკვეთილზე არ უნდა შეხვიდე, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვს ტვირთადქცეული მასწავლებლობა არ დაანახო. არაგულწრფელობას, არაბუნებრივ პოზებს მაშინვე გრძნობენ და გატყობენ პატარები. დანაშაულია, როცა მათთან როლმორგებული შედიხარ.

მასწავლებლობა გამოსაცდელი პროფესია არაა – გამოგივა თუ არა, ამაზე ფიქრი პროფესიაში შესვლამდეა საჭირო, რადგან სკოლა არ არის საექსპერიმენტო ლაბორატორია. კარგად უნდა გქონდეს აზომილ-აწონილი შეძლებ თუ არა მასწავლებლობას.

რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მასწავლებლის პროფესია

ის ხარვეზები, რის გამოც არ მოგწონდათ ესა თუ ის მასწავლებელი, ახლა შეგიძლიათ თქვენ გამოასწოროთ. შედით ამ პროფესიაში, აირჩიეთ მასწავლებლობა და იცოდეთ, სახელმწიფოს ისე ვერავინ დაეხმარება, როგორც კარგი მასწავლებელი. ჩვენს ქვეყანას არ სჭირდება ბევრი პოლიტიკოსი, ბევრი იურისტი, მას ბევრი კარგი მასწავლებელი სჭირდება და თუ თქვენში აღმოაჩენთ კარგი მასწავლებლის უნარებს, აუცილებლად აირჩიეთ ის პროფესიად და მიდით სკოლაში. სკოლა საუკეთესო ადგილია იმისთვის, რომ საკუთარი თავის რეალიზება მოახდინოთ როგორც ამა თუ იმ საგნის სპეციალისტმა. ეცადეთ, თქვენ შეძლოთ ის, რაც თქვენმა წინამორბედმა თაობებმა ვერ შეძლეს.

თაობა, რომელსაც ზრდის

ყველა თაობაშია ძალიან მაგარიც, საშუალოც და საშუალოზე დაბალიც. ამ თაობას ერთი სიმპტომი აქვს, უფრო პრაგმატულები არიან. ფიქრობენ მიდგომით – ეს მე მჭირდება, თუ არა? სულაც არ არის ცუდი, კაპიტალისტური წყობისთვის ეს კანონია – რაში გამომადგება. ასაკით არ ვარ ძალიან შორს მათგან, 32 წლის ვარ, მაგრამ ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. ჩვენ ლექცია რომ გვიცდებოდა, ბედნიერები გარეთ გამოვდიოდით, ეზოში ვისხედით და ამას არ ვაპროტესტებდით. ამას წინათ, მივიდნენ სტუდენტები ერთ-ერთ კათედრაზე და ლექტორის მისამართით საყვედური გამოთქვეს – ჩვენ სწავლაში ფულს ვიხდით, კეთილი ინებოს და ლექციები ჩაგვიტაროსო. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ამდროული.

ძალიან კარგი თაობაა, უბრალოდ, მაღალი უნარების ახალგაზრდები მასწავლებლობის პროფესიაში იშვიათია და ეს სამწუხაროა. ისინი სხვა სპეციალობებს ირჩევენ – იურიდიულს, საერთაშორისო ურთიერთობებს, და სხვა. მასწავლებლობაზე არ ფიქრობენ. ვერც გაამტყუნებ, რადგან პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია.

პროფესიის გაახალგაზრდავება

2015 წლის TALIS-ის საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ იმ გამოკითხულ ქვეყნებს შორის, რომლებიც ფიქსირდებიან საერთაშორისო კვლევის არეში, საშუალო ასაკის მასწავლებლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩვენ გვაქვს. რატომ არ მიდის ეს ხალხი პენსიანზე? იმიტომ, რომ არანაირი ფინანსური გარანტიები არ აქვს. შეიძლება ეს ყველაფერი ძალიან უმტკივნეულოდ გააკეთო – ჩამოაცილო ისინი აქტიურ გაკვეთილს და დატოვო კონსულტანტებად, მეთოდისტებად, რომ ახალგაზრდა კადრებს გაუწიონ კოორდინაცია. ამით პროფესიის გაახალგაზრდავებას შევუწყობთ ხელს.

მოამზადა **ლალი ჯელაძემ**

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

არჩევნები

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით;

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში;

3. მთავრობის ძალაუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 21

არჩევნების თემატიკა მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ ზოგადად, მსოფლიოსთვის. ჩვენს ქვეყანაში ასეთი სურათია – ვცხოვრობთ არჩევნებიდან არჩევნებამდე, დაპირებებიდან დაპირებებამდე. რაოდენ მნიშვნელოვანია თავისუფალი არჩევნების ჩატარება დემოკრატიის განვითარებისთვის, ამაზე აღარ გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მე-9 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში გამოკვეთილია არჩევნების თემა (პრაქტიკუმთან ერთად).

ამ ასაკობრივ ჯგუფებში კარგია, თუ მოსწავლეები გაითავისებენ როგორ გააკეთონ სწორი არჩევანი, სწორი კრიტერიუმებით. პირველ რიგში, უნდა გაარკვიონ რა არის სწორი და არასწორი კრიტერიუმები არჩევანის გაკეთებისას და რამდენიმე სუბიექტის სამოქმედო გეგმის გაცნობის შემდეგ მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილება. ამ ასაკიდან ისინი სწავლობენ გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას და ასევე აცნობიერებენ პასუხისმგებლობას, რომ ყველამ შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება არჩევნებზე წასვლის გზით. გაიაზრონ მათ სრულწლოვანების ასაკში არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულება.

საინტერესო ინიციატივა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტს. ჩაატარა კონკურსი სკოლის მოსწავლეებს შორის: „შენი ხმა ჩვენი მომავალია“. მოსწავლეებმა აქტიური კამპანია აწარმოეს უფროსებისთვის, რომ ისინი აუცილებლად წავიდნენ არჩევნებზე და მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალდებულება. დაჯილდოვდა ფინალში გასული ჯგუფები. ასეთ პროექტში მონაწილე მოსწავლე ნამდვილად არ იქნება პასიური მოქალაქე სრულწლოვანების ასაკის შესრულებისას. ეს მათთვის ნამდვილი მოთელვაა. ასევე მნიშვნელოვანია პროგრამა „U18-მეტი შეგვიძლია“, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში დაინერგა, ასევე გავრცელდა საქართველოს 6 რეგიონში (თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, ზემო სვანეთი და აჭარა). პროექტი „U18“ გულისხმობს 18 წლის ქვემოთ ასაკის ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბებას, გაცნობიერებული და ინფორმირებული არჩევნის გაკეთების სწავლებას, ახალგაზრდების მომავალ ამომრჩევლად აღზრდას. პროექტის „მეტი შეგვიძლია!“ ფარგლებში, ბერლინში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან – გერმანულ-რუსული გაცვლა DRA – პარტნიორობით, პროექტი ხორციელდება საქართველოში, უკრაინასა და რუსეთში. წარმატებით განხორციელდა თბილისის მე-10 სკოლაშიც.

ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ რამდენიმე სუბიექტის წინასაარჩევნო პროგრამა (თვითონ მასწავლებლებმა), ჩავრთოთ მოსწავლეები დისკუსიაში, ვისაუბროთ მათთვის გასაგებ მარტივ ენაზე. ავუხსნათ, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ ეფექტურ ჩართულობას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე მათი მოსმენა და მხარდაჭერა.ეს იმიტირებული გაკვეთილი საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე, მოიხსნას გულგრილობა და სრულწლოვანების ასაკში ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია როგორც მზადების პროცესი არჩევნებისათვის, ასევე თვითონ საარჩევნო პროცესი (ტექნიკური მხარე, ხმების დათვლა...). საინტერესოა შინაარსიც, რომელსაც ეს სუბიექტები აჟღერებენ. რელევანტურია იმის ჩვენება, რა კავშირია მათ არჩევანსა და პოლიტიკურ ცხოვრებას შორის.

საუბარია საარჩევნო ასაკის დაწევაზე, თუმცა, დიდი აზრთა სხვადასხვაობაა ამასთან დაკავშირებით. ინგლისის მაგალითმა დააფიქრა მსოფლიო. ინგლისში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს მოქალაქეებმა, რომლებიც დიდი ხანია მონაწილეობენ არჩევნებში და გამობრძმედილები არიან (ანუ ასაკოვანმა ხალხმა). მათმა დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ინგლისის გამოყოფას ევროკავშირიდან. ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ევროკავშირში დარჩენას, უბრალოდ არ ჩათვალა საჭიროდ არჩევნებში მონაწილეობა. რეფერენდუმის შედეგი კი, 50 წლის განმავლობაში, ძალაშია. სამწუხაროდ, სწორედ ამ ახალგაზრდებს მოუწევთ იმ რეალობაში ცხოვრება, რომელსაც არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ დაიზარეს არჩევნებში მონაწილეობა.

ამერიკის სკოლებში მძაფრი დებატები იმართება პოლიტიკურ თემებზე და მათი გამოცდილებაც შესაბამისად მაღალია ამ სფეროში.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა დავნერგოთ დემოკრატიული სტანდარტები, უზრუნველყოთ დემოკრატიული პროცესების განვითარება, ყველას ჩართულობა, ცოდნის გადაცემა და ა.შ.

პედაგოგთა დასახმარებლად

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

სასწავლო ხარაჩოს აგება (სკაფოლდინგი) მათემატიკაში, მისი წესები

სასწავლო ხარაჩო (ინგლ. *სკაფოლდინგი*) – დახმარების საფეხურები, სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა კონსტრუქტივიზმში.

კონსტრუქტივიზმი უარყოფს მზამზარეული ცოდნის გადაცემას, მოსწავლეებმა ცოდნა თვითონ უნდა ააგონ. მაგრამ ცოდნის აგებას სასწავლო ხარაჩოები სჭირდება – ის დროებითი დამხმარე კონსტრუქციები, რომლებიც მხოლოდ შენებისას გვჭირდება, მერე კი მოვიცილებთ. როცა მოსწავლე რაღაცას ვერ იაზრებს, ვერ ხვდება, ვერ აკეთებს, ეშლება, ცხადია, დახმარება სჭირდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას დახმარება ხარაჩოს სახით უნდა მივაწოდოთ და არა პირდაპირ შევუსწოროთ შეცდომა და ვუთხრათ მართებული პასუხი. ჩვენ მხოლოდ სასწავლო ხარაჩოს მივაშველებთ, რათა მოსწავლემ მაინც თვითონ ააგოს ახალი ცოდნა.

როგორც ნამდვილ ხარაჩოს აქვს საფეხურ-სართულები (ქვევიდან ზევით), ასევე სასწავლო ხარაჩოსაც აქვს საფეხურები: ჯერ მხოლოდ უმცირესი დახმარება – მცირეოდენი გამხნევება და „გამოფხიზლება“: „ეს კი კარგად გაქვს *(რაღაც კონკრეტულს მივუთითებთ, თუნდაც წვრილმანს)*, მაგრამ აქ უფრო ყურადღებით დააკვირდი!“ (რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს რაღაცა შესასწორებელი აქვს და ეს თავად უნდა მოძებნოს); თუკი მოსწავლე ამით ვერ შესწვდა, მაშინ მეორე საფეხური – მცირე მინიშნების შემცველი შეკითხვა ანდა თვალსაჩინო მაგალითი; დახმარების მესამე საფეხური – უფრო დამაკონკრეტებელი, მისახვედრებელი შეკითხვის დასმა, ანდა უფრო ზუსტი თვალსაჩინო მაგალითის ჩვენება; მეოთხე საფეხური – ოდნავი კარნახის შემცველი (მაგ., ფრაზის დაწყება, რომელიც ბავშვმა თვითონ უნდა დააბოლოოს), თუ სხვა. ბოლო, ყველაზე მაღალი საფეხურია მასწავლებლის მიერ თავიდან ბოლომდე ნათლად ჩამოყალიბება თუ გაკეთება და შემდეგ მსგავსი, ოღონდ შეცვლილი სახით, მოსწავლისთვის დავალება. ამასთან, უმჯობესია, რომ ეს ჩამოყალიბება გააკეთოს არა მასწავლებელმა, არამედ თანაკლასელმა. მასწავლებელი კი ერიდოს ახალი ცოდნის დასრულებული სახით ჩამოყალიბებას.

სასწავლო ხარაჩო საჭიროა მაშინაც, როცა მოსწავლეს რაღაც გაუჭირდება ნასწავლ საკითხში, საჭიროა შეცდომის გამოსასწორებლადაც და საჭიროა ახალი ცოდნის აგების დროსაც. ახალი საკითხის კონსტრუქტივისტული ახსნა სწორედ ასე ხდება:

მისახვედრებელი შეკითხვებითა და შემამზადებელი ამოცანებით. ამასთან, ხარაჩოების შედგენა მარტო მასწავლებლის საქმე არაა. კონსტრუქტივისტულად აგებულ სახელმძღვანელოშიც ახალი საკითხების სწავლება იმავე ხარაჩოებს უნდა ემყარებოდეს. სასწავლო ხარაჩოს გარეშე მხოლოდ განსაკუთრებით მაღალი მზაობის მოსწავლე თუ შეძლებს ახალი ცოდნის დამოუკიდებლად აგებასა თუ აღმოჩენას.

ახალი ცოდნის ასაგები ხარაჩო, ცხადია, უნდა უსწრებდეს მოსწავლეთა არსებულ გამოცდილებას– უამისოდ ახალ საკითხს ვერ შევწვდებით. მაგრამ (რაზეც განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას ლ. ვიგოტსკი და ჯ. ბრუნერი), დასმული ამოცანა მხოლოდ ოდნავ უნდა უსწრებდეს ცოდნას. ე.ი. ამოცანა უნდა იყოს მხოლოდ ოდნავ უფრო ძნელი, ვიდრე ამავე შინაარსის მქონე ის ამოცანები, რომლებსაც მოსწავლე დამოუკიდებლად ძლევს.

ამის განსახორციელებლად ყველა შესასწავლი საკითხი დანაწევრებული უნდა იყოს იმდენად მცირე საფეხურებად, რომ მათი გავლა საშუალო მოსწავლეს დამოუკიდებლად ან თითქმის დამოუკიდებლად შეეძლოს. სასწავლო პროგრამა ისე უნდა აიგოს, რომ მოსწავლე ყოველი მცირე სიახლისათვის წინასწარ იყოს შემზადებული არა მასწავლებლის მიერ საკითხის ახსნით, არამედ წინა გაკვეთილებზე ჩატარებული აქტივობებით. ამასთან, შემზადება საჭიროა როგორც ინტერესის გაღვივების, ისე გონებრივი მომართულობის მხრივ. ამ ყოველივეს ყველაზე თანმიმდევრულად ახორციელებს ჩვენეული „აქტიური მზაობის მეთოდიკა“, რომელიც, კონსტრუქტივიზმის გარდა, უზნაძისეულ განწყობის თეორიას ემყარება.

საკლასო დიალოგისა და ინტერაქციის წესები

• რაც შეიძლება ცოტა მზამზარეული ცოდნა – სასურველია ცოდნის უმეტესი ნაწილი, ძირითადად, მოსწავლეთა მიერ, კვლევა-ძიებით აიგოს; უფრო ზუსტად, მასწავლებელმა უნდა ააგებინოს მოსწავლეებს სათანადო შეკითხვების თანწყობით;

• დაფიქრებული, გააზრებული პასუხები – შეკითხვის დასმის შემდეგ მოსწავლეს უნდა ვადროვოთ (ბუნებით ნელ მოსწავლეს 7-8 წამიც კი სჭირდება ხოლმე); უკეთესია დაფიქრების მერე თუნდაც მცდარი პასუხი, ვიდრე ზერელედ წამოსროლილი მართებული პასუხი;

• ვიწყებთ უადვილესი შეკითხვებით, რომელსაც ვუსვამთ ყველაზე პასიურ მოსწავლეებს; აქტიურებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ჯერიც მოვა (თუკი არ წამოიძახებენ);

• თუკი პასიურ მოსწავლეს გაუჭირდება, მას სასწავლო ხარაჩოს მივაშველებთ;

• თუკი ვერც სასწავლო ხარაჩო უშველის, იმავე შეკითხვაზე პასუხს ვთხოვთ სხვა მოსწავლეს (მაგრამ არა ყველაზე აქტიურს);

• მართებულ პასუხს, საჭიროებისამებრ, მასწავლებელი შეავსებს, დახვეწს და ამ სახით გაამეორებინებს პირველ, პასიურ მოსწავლეს;

• მსგავს ადვილ შეკითხვას დავუსვამთ სხვა პასიურ მოსწავლეს;

• თანდათან გადავდივართ უფრო ძნელ შეკითხვებზე. საჭიროებისამებრ ვიყენებთ სასწავლო ხარაჩოებს;

• თუკი შეკითხვა ისეთი აღმოჩნდა, რომ მასზე პასუხი ვერც ყველაზე აქტიურმა მოსწავლეებმა შეძლეს, სასწავლო ხარაჩოების დახმარებით, ეს მასწავლებლის ან სახელმძღვანელოს შეცდომაა, საკითხი კლასისთვის ნაადრევი ყოფილა, მისი ახსნა მომდევნო გაკვეთილისთვის უნდა გადავდოთ. მანამდე კი კლასი უნდა შევამზადოთ: გავარკვიოთ, წინა ცოდნის რომელი უბნები ყოფილა განსამტკიცებელი და სწორედ მათ განმტკიცებაზე ვიმუშაოთ. უამისოდ სასწავლო პროგრამაში წინსვლა კლასის მოსწავლეთა უმრავლესობისთვის უნაყოფო იქნება.

ვენის დიაგრამა

ნიმუშისთვის შერჩეული გვაქვს ლოგიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება – (სამწუხაროდ, ეს მიმართულება ძალიან დაჩრდილულია). ხარაჩოების განხილვასთან ერთად გამოჩნდება აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ლოგიკური სქემის – ვენის დიაგრამის – არსი და მისი სწავლების მეთოდიკა.

შეხსენება. ერთ-ერთ წინარე სტატიაში ჩვენ უკვე განხილული გვაქვს ვენის დიაგრამის ცნება. ესაა ლოგიკური სქემა, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს **მიმართებას** ერთობლიობებს ან ცნებებს შორის, მაგალითად:



ურთიერთგამომრიცხავი ცნებები



ზოგად-კერძო ცნებები



ნაწილობრივ თანამკვეთი ცნებები

აქ დახაზულია ვენის 3 დიაგრამა. თითოეული გვიჩვენებს მიმართებას ორ-ორ ცნებას შორის. უფრო რთული დიაგრამები კი გვიჩვენებს მიმართებას არა ორ, არამედ რამდენიმე ცნებას შორის, მაგალითად:



გავრცელებული შეცდომაა: ვენის დიაგრამა ჰგონიათ მხოლოდ ნაწილობრივი თანაკვეთის მიმართების შესაბამისი სქემა, თანაც მაინცადამაინც ელიფსის ფორმის არეებით. სინამდვილეში ვენის დიაგრამები მრავალგვარია, არეების ფორმას კი არა აქვს მნიშვნელობა, არსებითია მხოლოდ არეების ურთიერთმდებარეობა.

კიდევ ერთი შეცდომაა ვენის დიაგრამის გამოყენება ორი რამის შესადარებლად. დიაგრამის დანიშნულება გათვალსაჩინოებაა. ამიტომ თუკი სქემა მოუხერხებელია, ის ფუჭი ხდება. ელიფსებში ფრაზების ჩაწერა კი ძალიან მოუხერხებელია, განსაკუთრებით – შუა ნაწილში. შესადარებლად უმჯობესია შედარების ცხრილის გამოყენება. ვთქვათ, შესადარებელია მართკუთხედი და სამკუთხედი:

შედარება	**მართკუთხედი**	
სამკუთხედი		
აქ იწერება ის, რაც ახასიათებს ***მხოლოდ*** *სამკუთხედს და არა მართკუთხედს*	*აქ იწერება ის, რაც* ***ორივესთვის საერთოა***	*აქ იწერება ის, რაც ახასიათებს* ***მხოლოდ*** *მართკუთხედს და არა სამკუთხედს*

ვენის დიაგრამის დანიშნულებაა არა შედარება, არამედ ცნებათა ან ერთობლიობათა შორის მიმართების გათვალსაჩინოება.

ვენის დიაგრამის შემზადება. სასწავლო ხარაჩოების კონკრეტული ნიმუში

ვენის დიაგრამის შემზადება II-III კლასიდან უნდა დაიწყოს. თანაც უნდა დავიწყოთ შედარებით მარტივი დიაგრამით, რომელიც ზოგადკერძოობას გვიჩვენებს (ნაწილობრივი თანაკვეთა უფრო რთული მიმართებაა). განვიხილოთ 5 ამოცანა:

1) აკვარიუმში პატარა თევზებია: 20 პატარა რუხი თევზი და 3 პატარა ოქროსფერი. გაარკვიეთ, რომელია მეტი და რამდენით – პატარა თევზები თუ რუხი თევზები;

2) დაფაზე დაწერილ წინადადებაში აღმოჩნდა 45 თანხმოვანი და 32 ხმოვანი. გაარკვიეთ, ამ წინადადებაში რომელი ყოფილა მეტი – თანხმოვნები თუ ყველა ასოები.

3) ხეივანში დგას 28 ნაძვი, 2 ფიჭვი და კიდევ რამდენიმე ფოთლოვანი ხე. გაარკვიეთ, რომელია მეტი და რამდენით – ნაძვები თუ ხეები.

4) რომლის რაოდენობაა მეტი – თბილისში მცხოვრები ქურთებისა თუ თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა (30 წლამდე) ქურთებისა?

5) მოსწავლემ დახაზა 6 კვადრატი და 2 ტრაპეცია. გაარკვიეთ, რომელი დაუხაზავს მეტი და რამდენით – კვადრატები თუ ოთხკუთხედები.

ხუთივე ამოცანა ზოგადკერძოობის მიმართებაზეა, თანაც დალაგებულია თანმიმდევრობით – ადვილიდან ძნელისკენ. სწორედ ამგვარი ამოცანების გააზრება და მათზე მსჯელობა შეამზადებს ჯერ მთელისა და მისი ნაწილის მიმართების, შემდეგ (V-VI კლასებში) კი ზოგადკერძოობის მიმართების სწავლებას.

ყველა ამ ამოცანის გათვალსაჩინოება ვენის დიაგრამითაა მოსახერხებელი – ერთი არე რომ მეორეს მოიცავს. მაგრამ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უმრავლესობისთვის ეს ზედმეტად აბსტრაქტული იქნება. მათ სხვაგვარი სასწავლო ხარაჩო სჭირდებათ.

ვთქვათ, მოსწავლეებს უნდა ამოეხსნათ (1) ამოცანა. მათ ტიპური შეცდომა მოუვიდათ, უპასუხეს: *რუხი თევზებია 17-ით მეტი.* მასწავლებელი დაფასთან გაიყვანს მოსწავლეს და დაავალებს, დახაზოს თვალსაჩინო სქემატური სურათი; – *ლაშა, აბა მარტივად და სწრაფად დახატე დიდი აკვარიუმი და შიგ თევზები!*

ლაშა დახატავს ალბათ დიდ მართკუთხედს ან წრეს. მასწავლებელი ურჩევს: *თევზების ნაცვლად პატარა ხაზები დახატე, სწრაფად! ოღონდ თევზების ფერებს მიაქციე ყურადღება!* ლაშა ‘თევზებს~ ჩახატავს. თუკი შეეშლება, მასწავლებელი კიდევ ერთხელ წააკითხებს ამოცანის პირობას. შემდეგ სხვა მოსწავლეებს გადაათვლევინებს თევზებს, რითაც ბავშვები დარწმუნდებიან, რომ შეეშალათ, მართებულ პასუხსაც ადვილად მიაგნებენ. სასწავლო ხარაჩო ამით დასრულებულია.

მაგრამ ეს არაა საკმარისი. შეიძლება ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეებს სხვა შემთხვევაშიც (2), (3), (4), (5) შეეშალოთ. ამიტომ საჭიროა ამგვარი ამოცანების უკეთ შემზადება. საამისოდ კარგია კიდევ უფრო მარტივი და უფრო თვალსაჩინო ამოცანები:

(6) რამდენი ჯვარია წრეში? მართკუთხედში? ორივეში?
(გამოვა, რომ ორივეში იმდენივეა, რამდენიც – მართკუთხედში)



(7) დახაზეთ კვარდატი და სამკუთხედი და ჩახაზეთ მათში რგოლები ისე, რომ კვადრატში 5 რგოლი იყოს, სამკუთხედში – 4, ორივეში ერთად კი – 5 რგოლი.

თუკი რომელიმე მოსწავლეს გაუჭირდება (7) ამოცანის ამოხსნა, მასწავლებელი მიანიშნებს:

– აბა, ისევ იმ ნახაზს დააკვირდი და მის მსგავსად დახაზე!

სხვათა შორის, ყველანაირი შეკითხვა არაა მიმანიშნებელ-მიმახვედრებელი. მაგალითად, სწორი არ იქნებოდა შეკითხვის ასე დასმა: **რამდენით მეტი ჯვარია წრის გარეთ, ვიდრე წრეში?** რადგან გონება სხვა მიმართულებით მიჰყავს – ჩვენი მიზანია, რომ მოსწავლემ მთელი თავისივე ნაწილს შეადა-

პედაგოგთა დასახმარებლად

როს, ხოლო ეს შეკითხვა აიძულებს, რომ ორი ნაწილი შეადაროს ერთმანეთს ანუ უბიძგებს, რომ, მაგალითად, იმ აკვარიუმის ამოცანაში ერთმანეთს შეადაროს რუხი და ოქროსფერი თევზების რაოდენობა, ანუ სწორედ იმ ტიპური შეცდომისკენ უბიძგებს, რომ *რუხი თევზებია 17-ით მეტი.*

ამ თემის შემდგომი განვითარებაა სახალისო თავსატეხი ამოცანა:

(8) მოისაზრეთ, როგორ შეიძლება, რომ ერთ ქვაბში 7 ჩურჩხელა იდოს, მეორეში – 2, ორივეში ერთად კი – 7.

ასევე სახალისო თავსატეხი ამოცანაა (9), მაგრამ ის ვენის დიაგრამასა და მთელი-ნაწილის მიმართებას არ უკავშირდება:

(9) როგორ შეიძლება გავუნაწილოთ გალიაში მყოფი ექვსი ბაჭია სამ გოგონას ისე, რომ თითო გოგონას ორი ბაჭია ერგოს და გალიაშიც ორი ბაჭია დარჩეს?

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კარგად შეითვისებენ მთელი-ნაწილის მიმართებას და ამ მიმართების წარმოდგენას ვენის დიაგრამით, შეიძლება დავიწყოთ ნაწილობრივი თანაკვეთის მიმართების სწავლება.

სიტუაციური ამოცანები

1. მასწავლებელმა მოსწავლეს გაჭირვებისას სასწავლო ხარაჩოები უნდა შეაშველოს. ზოგჯერ მოსწავლეს ხარაჩოს მხოლოდ ერთი-ორი საფეხური ეყოფა, ზოგჯერ კი ექვსივე დასჭირდება (თუკი ეს ექვსიც არ ეყო, მაშინ ამ საკითხის სწავლება ამ მოსწავლისთვის ნაადრევია – ჯერ წინარე ცოდნა უნდა განმტკიცდეს). შემდეგი დახმარების საფეხურები დაალაგეთ საჭირო თანმიმდევრობით – პირობითად, პირველი ასოები ამოწერეთ:

• **ა**ი ამ ადგილას ..... ასე ..... რატომ დაწერე?

ამიხსენი.

• **რ**ოგორც შენ აქ გიწერია, მართლაც რომ მასე ყოფილიყო, მაშინ ხომ ..... *(და მასწავლებელი აყალიბებს შეუსაბამობას)*

• **ძ**ირითადად კარგია, ყოჩაღ, მაგრამ კიდევ ერთხელ დაუკვირდი, უფრო ყურადღებით!

• **შ**ენთვის არაა ძნელი, ოღონდ ყურადღებით მოისმინე, რასაც გეტყვი და მერე ჩემს აზრს დაასრულებ: ..... *(და მასწავლებელი იწყებს აზრის ჩამოყალიბებას)*

• **კ**არგი, მაშ გაიაზრე ასეთი თვალსაჩინო მაგალითი (ან: სქემა) ..... *(და მასწავლებელი აჩვენებს).*

• **მ**ომისმინე და დაფიქრდი ..... *(და მასწავლებელი სრულად აყალიბებს აზრს, მერე კი ამოწმებს, გაიაზრა თუ არა მოსწავლემ).*

პასუხი: ძ, ა, რ, კ, შ, მ.

2. იმის გასარკვევად, თუ რის გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად და რისი – სხვების დახმარებით, მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს ამოცანა მისცა. ერთ-ერთმა მოსწავლემ ამოცანას დამოუკიდებლად ვერ გაართვა თავი, მაგრამ მასწავლებლისეული მინიშნებებით ამოხსნა.

შემდეგთაგან რომელია ყველაზე შესაფერისი აქტივობა ამ მოსწავლის მათემატიკურ უნართა განვითარებისა და სწავლის ხელშესაწყობად? მასწავლებელმა მოსწავლეს:

ა) მსგავსი ამოცანა მისცა დამოუკიდებლად ამოსახსნელად;

ბ) მიცემულზე უფრო მარტივი ამოცანები მისცა ამოსახსნელად;

გ) სთხოვა სახელმძღვანელოდან შესაბამისი თემის გამეორება;

დ) შესთავაზა, ერთად ამოეხსნათ კიდევ რამდენიმე მსგავსი ამოცანა;

ე) მიცემულზე უფრო რთული ამოცანა მისცა დამოუკიდებლად ამოსახსნელად;

ვ) სთხოვა, თავად შეედგინა მსგავსი ამოცანა.

3. წინარე ამოცანის ასარჩევი პასუხების აქტივობებიდან რომელი ორია ყველაზე შესაფერისი მომდევნო ნაბიჯებისთვის?

პასუხი: (ე), (ვ)

იუბილე

რუსთაველიდან – გალაკტიონამდე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით, გაიმართა საიუბილეო პროექტი „რუსთაველიდან – გალაკტიონამდე“.

შოთა – 850, ვაჟა – 155, გალაკტიონი – 125

პროექტის ავტორმა და ორგანიზატორმა დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე **ნანა ჭიჭინაძემ,** მისალმების შემდეგ, მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებასა და თბილისიდან მოწვეულ სტუმრებს: *„მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას სამი მწვერვალი ჰყავს: შოთა, ვაჟა და გალაკტიონი. ყურადსაღებია კონსტანტინე გამსახურდიას შეფასება – „საქართველო იამაყებს სამი გენიოსის სახელით – რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი და ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ დაწერდნენ. მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება, მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრი ჰქონდეს“.*

საუბილეო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი, „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტი **ნაირა გორაშვილი**, პროექტის მხარდამჭერი – მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, საიუბილეო საღამო გაიმართა მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით, საინფორმაციო მხარდამჭერი – ტელეარხი „ობიექტივი“, თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათი ილია მარტყოფლიშვილთან ერთად“ და გაზეთი „შირაქი“ (დირექტორი – **ინგა შიოლაშვილი**).

სპეციალურად ამ დღისთვის ხელოვნების სკოლის ფოიეს ამშვენებდა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის ფოტოსურათები და ბრძნული გამონათქვამები მათი შემოქმედებიდან, ასევე ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერის, **ხათუნა ბაბუხაძის** გობელენების გამოფენა. მოკლედ, შესასვლელიდანვე იგრძნობოდა სადღესასწაულო განწყობილება, ფოიეში ხელოვნების სკოლის დირექტორი **მარიამ კიკილაშვილი** თბილად ხვდებოდა მოსულ სტუმრებს და იქვე, სახელდახელოდ, შემოდგომის ხილით დახუნძლულ მაგიდებთან იწვევდა, რომლის მთავარი ატრიბუტი საიუბილეო ტორტი (რომელსაც ამშვენებდა წარწერა *შოთა – 850, ვაჟა – 155 და გალაკტიონი 125*) გახლდათ.

პროექტში სპეციალური მოწვევით მონაწილეობდა საპატიო სტუმარი **ინესა მერაბიშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, ბაირონის და გალაკტიონის მკვლევარი და მთარგმნელი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი და **ნუგზარ რუხაძე** – ჟურნალისტი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

საღამო მერაბ კოკოჩაშვილის დოკუმენტური ფილმის „ინესა მერაბიშვილი“ ჩვენებით დაიწყო, რის შემდეგაც თავად ქალბატონმა ინესამ ვრცლად ისაუბრა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის შემოქმედებაზე; ნუგზარ რუხაძემ და ინესა მერაბიშვილმა წაიკითხეს გალაკტიონის ლექსები ინგლისურ და ქართულ ენებზე, სტუმრებს სათანადო პარტნიორობას უწევდნენ დედოფლისწყაროს სკოლა „ბენაურის“ (დირექტორი – ინგლისური ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ცაცა ბენაშვილი**) მოსწავლეები: **კატო გვენეტაძე**, **მარიამ მეხრიშვილი** და **ლიკა გიგოლაშვილი**, რომლებმაც ქალბატონ ინესას წიგნიდან „გალაკტიონ ტაბიძე“ შთაგონებით წაიკითხეს დიდი პოეტის ლექსები: „ქარი ქრის“, „რაც უფრო შორს ხარ“, „გულო რა გემართება?“ და სხვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე. *„ეს ჩემთვის საპასიამოვნო იყო* – აღნიშნა ქალბატონმა ინესამ და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორებს, პირადად ნანა ჭიჭინაძეს – *ნანა ყოველთვის ესწრება თსუ-ში გამართულ ღონისძიებებს, იყო გალაკტიონის საღამოზეც, რომელიც მე მიმყავდა, უნივერსიტეტის იუბილეზე... მას მემორანდუმი აქვს გაფორმებული თსუ-სთან და ჩემი აქ სტუმრობაც ამის დასტურია“.*

საუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, ნაირა გორაშვილმა ქალბატონ ინესას მუნიციპალიტეტის გამგეობის სიგელი გადასცა და, დამსწრე საზოგადოების სახელით, მადლობა გადაუხადა საინტერესო ლექციისთვის.

ინესა მერაბიშვილმა ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს ბაირონის საზოგადოების საპატიო სიგელებითა და თავისი წიგნებით დააჯილდოვა.

საიუბილეო საღამო დასრულდა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდა ბაირონის სკოლის (პარალელურად, ნიჭიერთა ათწლეულის X კლასის მოსწავლე), შოპენის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი **სანდრო გეგეჭკორი**. მან მსმენელს საინტერესო პროგრამა შესთავაზა: ლისტის „მეფისტო ვალსი“, ბეთჰოვენის „პათეტიკური სონატა“, მოცარტის „სონატა 13“ და შოპენის „ეტიუდი 23“. ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტის საშემსრულებლო ხელოვნებამ გააოცა მსმენელი.

მოკლედ, ეს მშვენიერი დღე, 29 სექტემბერი, საყოველთაო დღესასწაულად აქციეს დედოფლისწყაროელებისთვის თბილისდან ჩამობრძანებულმა ძვირფასმა სტუმრება – ინესა მერაბიშვილმა, ნუგზარ რუხაძემ და ახალგაზრდა პიანისტმა სანდრო გეგჭკორმა.

მარიკა პოპიაშვილი

მინისტრის ვოლაჟი და საჩუქარი რეგიონებს



ცაგერში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**, „მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, საშემოდგომო ტურნეს ატარებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და თოვლის ბაბუასავით არიგებს საჩუქრებს, რომლის მსგავსი იქაურებს, ალბათ, ბოლო ოცწლეულში არც მიუღიათ. ოფიციალურად ამას ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უდევს საბაბად, არაოფიციალურად კი, ყველასათვის აშკარაა, რომ მინისტრის აქტიურობა არჩევნების მოახლოებას უკავშირდება. ცუდია, როცა ხელისუფლებას ქვეყანა მხოლოდ საარჩევნოდ ახსენდება, თუმცა პოლიტიკური კულუარები იქით იყოს და ამით ბავშვები, მოზარდი თაობა მცირე ხეირს მაინც ნახულობს – ზოგან მარტივი ტიპის სპორტული მოედნები კეთდება, ზოგან – გაცილებით სოლიდური სპორტის სასახლეები, ზოგან კი ბავშვებმა ინვენტარი და სპორტული ეკიპირება მიიღეს.

მინისტრის უახლოესი ვიზიტები აბაშასა და მარტვილში გაიმართა და იქაურებმაც იხეირეს მცირედით. ხეჩიკაშვილი, თავდაპირველად, აბაშის სპორტსკოლას ესტუმრა, სადაც 150-ზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს სპორტის სხვადასხვა სექციაში. მინისტრი მათთან ფრიად ხელდამშვენებული მივიდა – საჭიდაო ტრუსები და ძიუდოს კიმონოები, ფრენბურთის, წყალბურთის (საინტერესოა – ამის ჯგუფიც ჰყავთ?), კალათბურთის, ფეხბურთისა და რაგბის ბურთები, მაისურები ამავე სახეობებში, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადეები, ბაგირები, სავარჯიშო ტომრები და სამინისტროს მიერ გამოცემული სპორტული ლიტერატურა... დაგვეთანხმებით, მინისტრმა კარგი საჩუქარი გაუკეთა ადგილობრივ მოზარდებს, რომლებსაც ცხოვრების ჯანსაღი წესის, სპორტის როლზე, მის მნიშვნელობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე ესაუბრა. მან ახალგაზრდებს დიდ სპორტში წარმატებების მოპოვება უსურვა და აღნიშნა, რომ ეს დახმარება არ იქნება ერთჯერადი. დასასრულს ხეჩიკაშვილი ქუჩის საკალათბურთო ტურნირსაც დაესწრო ახალგაზრდებს შორის, რომელიც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის დახმარებით გაიმართა.

ლენტეხში

მინისტრი აბაშიდან მარტვილისკენ გაემართა, სადაც სახელოვანი ფეხბურთელის – **მურთაზ ხურცილავას** მშობლიური სოფელი სალხინო და მისი საჯარო სკოლა მოინახულა. იქაური მოზარდებიც დაასაჩუქრა საფეხბურთო ფორმებით, ბურთებითა და სპორტული ლიტერატურით.

ორივე რაიონის წარმომადგენლებს მინისტრი ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, ინვენტარით აღჭურვას და სპორტული პროექტების განხორციელებაში სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა.

სამეგრელოში სტუმრობას წინ უძღოდა ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ვიზიტი. ცაგერში მინისტრმა, სპორტულ ობიექტებთან ერთად, ასევე ინახულა ადგილობრივი სპორტის სასახლე, თუმცა იქ უკვე ახალიც შენდება – გაცილებით თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებზე გათვლილი, სადაც შესაძლებელი იქნება გარკვეული მასშტაბის უცხოური ტურნირების მასპინძლობა (ფეხბურთის ფედერაციას, ასევე, დაწყებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სტადიონის მშენებლობა, რომელიც ასევე უცხოურ მატჩებზეა გათვლილი). ბუნებრივია, აქაც იყო დაპირებები პრობლემების მოგვარებაში და საჩუქრები სპორტში ჩაბმული მოზარდებისთვის: ბურთები, ფორმები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებისთვის (ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო), კალათბურთისა და კრივის ინვენტარი და სხვ. მინისტრს ბევრი პრობლემა და დახმარების თხოვნა დაახვედრეს ლენტეხშიც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ რეგიონებში გაცილებით ინტენსიური გასვლებია საჭირო და არა ოთხ წელიწადში ერთხელ. აქაურმა ნორჩმა ძიუდოისტებმა, მორაგბეებმა და ფეხბურთელებმაც მიიღეს საჩუქრად შესაბამისი ფორმები, ბურთები თუ სხვა სახის ინვენტარი.

ხოჯაშვილი ამჯერად პანკრატიონში

სექტემბერში საქართველომ პირველად უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს საჭიდაო სახეობებში, რომელიც ჭაბუკთა შორის ჩატარდა, წინა კვირას კი ასევე პირველად უმასპინძლა მსოფლიოს პირველობას პანკრატიონში. ჩვენთვის „უცხო ხილი“ სპორტის უძველესი სახეობაა, რომელიც ჯერ კიდევ 648 წელს შეიტანეს ოლიმპიადის პროგრამაში. იმხანად ის პოპულარული სპორტის ორი სახეობის – ჭიდაობის და მუშტი-კრივის ნაზავი იყო, დღეს კი შერეული საბრძოლო ხელოვნების მსუბუქ ფორმად განიხილება. ამჟამად პანკრატიონი ჭიდაობის გაერთიანებული მსოფლიოს ფედერაციის შემადგენლობაში შედის.

მსოფლიო ჩემპიონატი სამივე ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა, თუმცა ჩვენგან ყველაზე მეტად ახალგაზრდებმა და ჭაბუკებმა იყოჩაღეს, რომლებმაც 3 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო და 1 ვერცხლი. ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი, 62 კილოგრამში, **გივი ბორაშვილი** გახდა, ჭაბუკებში კი ანალოგიური წარმატება, 84 კილოგრამში, **ნიკა მარქარიანმა** მოიპოვა. ვერცხლის მედალი გოგონების მონაგარია – 17-წლამდელთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში გოგონების ნაკრების წევრმა **თამარ ხოჯაშვილმა** მოიპოვა. ხოჯაშვილი დიდი ხანი არაა, **ზურაბ ტატუაშვილის** ხელმძღვანელობით, შეუდგა ვარჯიშს სოფელ დიღომში მდებარე საჭიდაო დარბაზში. მან უკვე მოასწრო ჭიდაობაში მედლების მოპოვება თურქეთისა და რუმინეთის საერთაშორისო ტურნირებში, იჭიდავა მსოფლიო ჩემპიონატზეც, თუმცა იქ ტრავმირებულმა იასპარეზა და ნაადრევად დამარცხდა. ხოჯაშვილი ქალთა ჭიდაობის ერთ-ერთი პიონერია, რომელიც გზას უკვალავს სპორტის ამ მივიწყებულ დისციპლინას საქართველოში.

სამი მარცხი უგოლოდ

საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები ძალიან წარუმატებლად გამოვიდა ფინეთში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, სადაც ჩვენ გარდა, მასპინძელთა ნაკრები, ბულგარეთისა და შვედეთის გუნდები გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, **გურამ ასპინძელაშვილის** შეგირდებმა სამივე შეხვედრა დათმეს. თავდაპირველად ბულგარეთთან წააგეს თერთმეტმეტრიანით – 0:1, შემდეგ კი ფინელებთან დამარცხდნენ – 0:2. ამით ჩვენებმა ელიტრაუნდში გასვლის შანსი დაკარგეს. ვერ გეტყვით, ამან იმოქმედა თუ რა მიზეზი იყო, რომ ყველაზე მეტად ჯგუფის ბოლო შეხვედრაში განადგურდნენ შვედებთან – 0:4 წააგეს. როგორც ვხედავთ, ქართველებმა ერთი გოლიც ვერ გაიტანეს და ტურნირი ძალზე უხეირო სტატისტიკით დაასრულეს – 0:7.

ეროვნულისგან განსხვავებით, ასაკობრივ ნაკრებებში ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვქონდა, თუმცა 17-წლამდელებმა ეს რეალობაც გააცამტვერეს.

ხომერიკს ცოტა დააკლდა

4 ოქტომბერს, რუსეთის ქალაქ ხანტი მანსიისკში, დასრულდა მოჭადრაკეთა ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატები, სადაც 7 ქართველიც გამოდიოდა. მათგან ყველაზე უკეთ 18-წლამდელ გოგონათა შორის **ნინო ხომერიკმა** იასპარეზა, რომელსაც, სულ ცოტა, ნახევარი ქულა დააკლდა მედლამდე. ციმბირში წასვლამდე ერთი თვით ადრე, ხომერიკმა ტრიუმფით მოიგო ევროპის ჩემპიონატი ამავე ასაკში (სხვათა შორის, ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი) და რუსეთშიც თავიდანვე ლიდერთა შორის იყო – პირველივე ტურში ყაიმით კი დაასრულა შეხვედრა, მაგრამ შემდეგ, ზედიზედ სამჯერ, იმარჯვა, რასაც თითო ყაიმი და მოგება მიაყოლა. ექვსი ტურის შემდეგ ის, 5 ქულით, ლიდერთა შორის იყო, თუმცა მეშვიდე ტურში პირველი მარცხი იგემა. ზოგადად, მან შეხვედრის მეორე ნახევარი შედარებით სუსტად ჩაატარა – სწორედ ამ მონაკვეთზე მოდის მისი ორივე მარცხი, რამაც გამოიწვია კიდეც უმედლოდ დარჩენა. ძალიან მოულოდნელი იყო ჩვენებურის პირველი მარცხი სომეხ **სირანუშ გუკასიანთან**, რადგან ის შედეგებით არ გამოირჩეოდა და, საბოლოოდ, მეცხრე ადგილზე დარჩა, მეორედ კი ქართველი მოჭადრაკე ტურნირის მომავალ ჩემპიონთან, ბერძენ **სტავროულა ცოლაკიდოუსთან** დამარცხდა. ხომერიკმა ბოლო ორ ტურში კი გაიბრძოლა და 1.5 ქულა მოინადავლა, მაგრამ იმ ორი დაკარგული ქულის გაბათილება ვეღარ შეძლო. საბოლოოდ, მან 11 პარტიიდან 6 მოიგო, 3 ფრედ დაასრულა, 2 წააგო და ტურნირი 7.5 ქულით დაასრულა. როგორც გითხარით, ჩემპიონი ბერძენი ცოლაკიდოუ გახდა 9 ქულით, 8-8 ქულით კი მეორე-მეოთხე ადგილები ებრაელმა **მიჰალ ლაჰავმა** და რუსებმა, **ალექსანდრა ობოლენცევამ** და **ირინა დროგოვამ**, გაინაწილეს. უკეთესი კოეფიციენტების დამსახურებით, ვერცხლი ობოლენცევას ერგო, ბრინჯაო – ებრაელს.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებს მედლის მოპოვების რეალური შანსი არ ჰქონიათ. ხომერიკის ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე **ნატა ჯიბუტი** 38-ე ადგილზე გავიდა; 14-წლიან გოგონებში **მაია ბეჭვაია** 53-ე იყო, 16-იანებში – **ელენე კოსტავა** 36-ე.

ჩვენი ბიჭებიდან ყველაზე უკეთ **ირაკლი ახვლედიანი** გამოვიდა 18-წლიანებში – 24-ე ადგილი; 14-იანებში **ლუკა ობოლაძე** 35-ე იყო, ხოლო 16-იანებში **შოთა ხოდაშნელი** – 73-ე.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

წიგნის თარო — მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა



წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“



წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია რა არის რა



ევროპა



უძველესი ადამიანი

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა,
თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

იშხნის რესტავრაციის დროს, რამდენიმე დღის წინ, ტაო-კლარჯეთში, მკვლევრებმა ტაძრის იატაკი აღმოაჩინეს

იატაკის ერთი ნაწილი პირველად, 3 წლის წინ, სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებისთანავე, ინტერიერში მიწის ფენის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა. მაშინ მხოლოდ მცირე ფრაგმენტების დაფიქსირება მოხერხდა, რომელსაც რესტავრატორებმა მალევე მიწა მიაყარეს.

მას შემდეგ, რაც იშხნის რესტავრაციის დროს თურქმა რესტავრატორებმა ტაძრის იატაკი მთლიანად გაწმინდეს, გამოჩნდა, რომ იატაკი სრულად ყოფილა დაცული დასავლეთ მხარეს. ფრაგმენტები გადარჩენილა გუმბათქვეშა სივრცეშიც – ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებში.

როგორც ჩანს, მთელი ტაძარი ასეთი იატაკით იყო დაფარული. მასალა: კირხსნარი – თეთრად, აგურისფრად და შავად დაფერილი.

VII საუკუნეში აგებულმა, IX-ში მეორედ აშენებულმა და X-ში გაფართოებულმა იშხნის ტაძარმა საბოლოო სახე 1032 წელს მიიღო, გაგრატ IV-ის მეფობის ჟამს, ანტონ იშხნელის ეპისკოპოსობისას, *„ხელითა ხუროთმოძღვარ იოვანე მორჩაისძისაითა“*.

სტილის მიხედვით და ტაძრის ისტორიის გათვალისწინებით, იატაკიც 1032 წლის რეკონსტრუქციის პერიოდისა უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ეს ახალი ნიმუში დიდ მსგავსებას ავლენს გაგრატის ტაძრის ასევე ახლად გამოვლენილ იატაკის ფრაგმენტებთან.

ასეთი სიძველის, ასეთი სისრულისა და ასეთი მხატვრული შესრულების იატაკი არც ერთ სხვა ქართულ ტაძარს არ შერჩენია!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK